საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიტრა გეზი

# ლომი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდ

20 აგვისტო ორშაბათი 2012 №196 (13802) 80 თეთრი

# ევროპის დაკვეთილი ლომები

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევრობასკეტი 2013. შესარჩევი

## საქართველო 80:64 რუმინეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო. პრემიერლიგა

## როგორც თბილისის შუქნიშანი: ყვითელი, წითელი

11 გააფრთხილეს, 4 გააძევეს

2-4

ევროფეხბურთი

## ბარსელონას ვარსკვლავური STARგი

10

სავარაუდო ტრანსფერი

## გასეირნება ყარაბაღში?

ზესტაფონს ბომბარდირი ტოვებს

5

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტური

# არაპირი დაინდოთ!

18.08.12. თბილისი. მ. მესხი. მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 3 |
| ტორპედო | 2 |

0:1 კვახაძე (8), 1:1 ჩისკო (11, პენალტით), 12 გრიგალაშვილი (12, საბანაძის პასით), 2:2 ჩისკო (42, მერებაშვილის პასით), 3:2 ალვარო (73, მერებაშვილის პასით)

| დინამო 4-4-2 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ზარქუა | მიგინეიშვილი |
| სეთურიძე | რიგვავა |
| გ. პკარაცხელია | კვახაძე |
| ხიზანეიშვილი | ზ. ჭელიძე |
| რეხვიაშვილი | გ. გურული |
| პოტო | ფირცხალავა |
| ხმალაძე | გიგაური |
| ძარია | გ. დათუნაიშვილი |
| მერებაშვილი | ე.გრიგალაშვილი |
| ჩისკო | ბერიაშვილი |
| ვოსკობოინიკოვი | საბანაძე |
| მწვრთნელი: დ. უჯრინი | მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე |

**დინამო**

59. ვოსკობოინიკოვი — **როგერტინიო**
67. ძარია — **ალვარო**
87. მერებაშვილი — **გლიშიჩი**

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, ტვილდიანი, ჯილაური, იაგუე*

**ტორპედო**

56. ბერიაშვილი — **კუხიანიძე**
66. გრიგალაშვილი — **ვ. ბოლქვაძე**
78. გიგაური — **ტულუში**

*სათადარიგოები: ქვილითაია, დოლიძე, ტაბატაძე, ფანცულაია*

გაფრთხილება: **გურული** (9), **ფირცხალავა** (18), **ფირცხალავა** (19), **კვახაძე** (20), **რეხვიაშვილი** (29), **ხმალაძე** (52), **გრიგალაშვილი** (64), **გიგაური** (74), **რეხვიაშვილი** (76), **მიგინეიშვილი** (83), **ზარქუა** (90).

გაძევება: **ფირცხალავა** (20), **რეხვიაშვილი** (76), **ხიზანეიშვილი** (89), **ზარქუა** (90).

არბიტრი: ო. ხეცაძე

მატჩის არბიტრმა ოთარ ხეცაძემ წითელ-ყვითელი ბარათები უხვად არიგა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ზღვარი და წნეხი

უჩვეულოდ დრამატული და ნერვიული გამოდგა ძველი მეტოქეების დაპირისპირება, — ცოტაც და, სკანდალური დასასრული რომ შეიძლებოდა მოჰყოლოდა; თუმცა, კონკრეტულ შეხვედრაში მსაჯი რომ ყვითელ ბარათს ჯიბიდან თერთმეტჯერ (!) ამოიღებს და ოთხ (!!) ფეხბურთელს გააძევებს, ამაზე მეტი სკანდალი რა უნდა მოხდეს!!! გადაჭრით იმის თქმა, რომ ზედმეტად მეტი სიმკაცრით არბიტრმა თამაში „გააფუჭა“, მართლაც ძნელია; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ოთარ ხეცაძე** ფეხბურთელებს არაფერს პატიობდა: მეტოქის შეტევის განზრახ ჩაშლისათვის, აშკარა სიმულაციისათვის, ბევრად უფრო აშკარა უხეშობისა თუ... გულშემატკივართა გინებისათვის. ერთი შეხედვით, ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებდა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ, როცა ასეთი პრინციპული მატჩია, არბიტრს გარკვეული „დიპლომატიაც“ მოეთხოვება და წესების ნებისმიერ დარღვევას ალბათ, წითელ-ყვითელი ბარათების გამუდმებული ფრიალით არ უნდა „პასუხობდეს“. საერთოდაც, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენს არბიტრებს, თითქოსდა, დირექტივ-ბრძანებასავით ჰქონდეთ მიღებული: არავინ დაინდოთ, არავის არაფერი აპატიოთ და წითელ-ყვითელი ბარათებიც, რაც შეიძლება უხვად დაარიგეთო! პირველ ტურშიც ასე იყო და მეორე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ დაპირისპირებაში, ალბათ, საერთაშორისო მასშტაბის რეკორდს შევწვდით...

ვიდრე „დინამო“ — „ტორპედოს“ მართლაც თვალსასაჩერო დაპირისპირებაზე დაწვრილებით მოგითხრობდეთ, ერთ არცთუ სასიამოვნო ფაქტზე გვინდა ყურადღების გამახვილება. რა თქმა უნდა, დასაფასებელია იმ ქომაგთა ერთგულება, მშობლიურ გუნდს სტუმრად (თანაც, უპრინციპულეს მეტოქესთან) მთელი მატჩის განმავლობაში ომახიანად რომ ამხნევებს, მაგრამ, ამ ქომაგობაშიც რაღაც ზღვარი უნდა არსებობდეს: სტუმრად რომ ჩადიხარ და მასპინძლებს (კლუბის ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებს) მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებ, ამ ყველაფერს სითამამე კი არა, მართლაც ზღვარგადასული თავხედობა ჰქვია. ალარაფერს ვამბობთ სკამების მტვრევაზე, მატჩის ბოლო წამებზე, „ტორპედოს“ ქომაგთა და „დინამოს“ ახალგაზრდა მეკარის **თორნიკე ზარქუას** შორის შელაპარაკებას (რა რბილად ნათქვამია?!) რომ მოჰყვა. რა თქმა უნდა, ძნელია ნერვები მოთოკო, როცა საკუთარ სტადიონზე სტუმართა გუნდის ფანებისგან გინების კორიანტელს ისმენ, მაგრამ 21 წლის ზარქუას საქციელს გამართლება არა აქვს — ახალგაზრდა მეკარემ ამ წნეხს ვერ გაუძლო და სწორედ გულშემატკივართა გინებისათვის გააძევეს კიდეც. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დროისათვის „დინამო“ 9 კაცით (!) თამაშობდა და სამივე შეცვლაც განხორციელებული იყო...

## ორმხრივი დიპლომატია

...მატჩისშემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ**, როგორც სჩვევია, არბიტრების ქმედებაზე კომენტარი არ გააკეთა; უფრო ზუსტად, იმედი გამოთქვა, რომ შესაბამისი უწყებები სამართლიან შეფასებას მისცემდნენ. აი, რაც შეეხება მის კოლეგას, **დუშან უჭრინმა** გვითხრა, რომ ჯერჯერობით აქაური წესები არ ვიცი და ამიტომ თავს შევიკავებო. ეგ კი არა, ისიც დაამატა, რომ თურმე ჩეხეთში მწვრთნელი რომ მსაჯს გააკრიტიკებს, 2000 ევროთი ჯარიმდება!..

## წარსულში დაბრუნება და გამორჩეული პერსონები

...შაბათის მატჩმა „წარსულში დაგვაბრუნა“ და 1999-2003 წლები გაგვახსენა. როცა საქართველოს ჩემპიონის ბედი სწორედ „დინამო“ — „ტორპედოს“ პაექრობებში ირკვეოდა. ჰო, მართლაც დაუვიწყარი მატჩები იყო იმ ხუთი სეზონის განმავლობაში და არანაკლებ დასამახსოვრებელი ვიხილეთ ახლაც. თანაც, ვერავინ იტყვის, მასპინძლებმა დაუმსახურებლად მოიგესო, თუმცა, საკუთარი აზრია და მიგვაჩნია, რომ არც „ტორპედო“ იმსახურებდა მარცხს, — ეგ კი არა, შეხვედრის ბოლო წუთებზე სტუმრებმა იმდენი მომენტი შექმნეს, ქუთაისში სამი ქულით ხელდამშვენებული ჩასვლაც შეეძლოთ, მაგრამ გამოუცდელობის (და, ალბათ ნერვიული ფონის) გამო ვერც ერთი გამოიყენეს...

...ორივე მწვრთნელმა იდენტური ტაქტიკური განლაგება (4-4-2) აირჩია და წინა ტურთან შედარებით ორივე გუნდის ძირითადში მინიმალური ცვლილებები იყო; ასე, მაგალითად, თუ „დინამომ“ ძირითადი მეკარე და გუნდის კაპიტანი **გიორგი ლორია** მოისაკლისა (ავადმყოფობის გამო), სტუმართა შორის **გრიგოლ დოლიძის** ნაცვლად **ნიკა ფირცხალავა** გამოჩნდა. აქვე, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ სტუმართა შორის გამორჩეული იყვნენ 22 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილი** და 21 წლის **ნიკა საბანაძე**. ამ ახალგაზრდა ფორვარდმა 90 წუთის განმავლობაში მასპინძელთა მცველებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. თუმცა, შაბათის მატჩს სხვა გამორჩეული პერსონებიც ჰყავდა და ეს, უპირველესად, „დინამოს“ ესპანელ ლეგიონერებს ეხება: **ჩისკომ** და **კოტომ** მართლაც შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარეს, **ალვარომ** კი იშვიათი სილამაზისა და, რაც მთავარია, გადამწყვეტი მნიშვნელობის გოლი გაიტანა!

ელგუჯა გრიგალაშვილი (მარცხნივ) და კოტო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## გარდამავალი ზეიმი

...მატჩის დაწყებიდან 10 წამიც (!) არ იქნებოდა გასული, მასპინძლებს გოლის გატანის შანსი რომ მიეცათ: ჩისკომ და კოტომ ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, თუმცა ბურთი სტუმართა კარის ბადეს გარედან მოხვდა. ამას მცირეოდენი „დამშვიდება“ მოჰყვა და მერე კი დროის სულ მოკლე პერიოდში ერთდროულად 3 გოლიც ვიხილეთ! ჯერ იყო **ალექსანდრე კვახაძის** შორეული საჯარიმო დარტყმა, ბურთი ერთ-ერთ დინამოელს რომ მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ზარქუასგან დაუცველ კარში აღმოჩნდა! სტუმართა ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა: მთელი მატჩის განმავლობაში უაღრესად აქტიური კოტოს მორიგი გარღვევა საკუთარ საჯარიმოში „ტორპედოს“ მცველების წესების დარღვევით დამთავრდა. პენალტი კი ჩისკომ ზუსტად შეასრულა და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ საპასუხო შეტევაში ნიკა საბანაძემ გაიბრწყინა, მარცხენა ფლანგზე მეტოქეებს თავგზა აუბნია და მისი გამჭოლი გადაცემის შემდეგ ელგუჯა გრიგალაშვილმა ახლო მანძილიდან „ტორპედო“ კვლავ წინ გაიყვანა. აი, ამის მერე იყო ის, ცოტა არ იყოს, საკამათო ეპიზოდი, როცა **ნიკა ფირცხალავამ** ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ „დაიმსახურა“ ყვითელი ბარათი და სტუმრებიც რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. თუმცა, „ტორპედოს“ არც უცდია დაცვაში „ჩაჯდომა“ და მწვავე კონტრშეტევებსაც ახორციელებდა: ერთ ეპიზოდში საბანაძემ ეფექტურად და მოულოდნელად დაარტყა 25 მეტრიდან, მაგრამ ბურთი დინამოელთა კარის ხარიხას მოხვდა.

ტაიმის ბოლომდე, „დინამოს“ ორი კარგი მომენტი ჰქონდა: ჯერ ჩისკომ ვერ ისარგებლა **ზაზა ჭელიძის** შეცდომით, შემდეგ კი **ომარ მიგინეიშვილმა** გაიბრწყინა, როცა კოტოს დარტყმა მოიგერია. თუმცა, მასპინძლებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება: **გიორგი მერებაშვილმა** მართლაც ჩინებული პასით ჩისკო გაიყვანა დასარტყამ პოზიციაზე და 31 წლის გამოცდილმა ესპანელმაც მახვილი კუთხიდან მიგინეიშვილს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელთა შეტევებით დაინყო, თუმცა „ტორპედო“ თავს უნარიანად იცავდა და კვლავაც მწვავე კონტრიერიშებით პასუხობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში კვლავაც ჩინებულად ითამაშა ნიკა საბანაძემ, „მოჭრილი“ დარტყმით მეკარისაგან შორეულ, დაუცველ კუთხეს რომ უმიზნებდა. ამასობაში დუშან უჭრინმა შეტევის გასაძლიერებლად შეცვლები გააკეთა და დინამოელები, ფაქტობრივად, ოთხი შემტევით აგრძელებდნენ მეტოქეზე ზეწოლას. მომენტებმაც იმატა: **ლევან ხმალაძის** ეფექტური თავური დარტყმა მიგინეიშვილმა მოიგერია არანაკლებ ჩინებული ნახტომით, სტუმართა მეკარემ მერე უკვე ჩისკოს არ დაანება გოლის გატანა, მაგრამ აი, **ალვაროს** დარტყმას კი წინ ვეღარ აღუდგა. თანაც, დარტყმასაც ხომ გააჩნია: 29 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა წინა სეზონშიც არაერთი ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ შაბათს რომ ვიხილეთ, ეს მაინც სხვა „კატეგორიას“ მიეკუთვნებოდა — მერებაშვილის წამოწყებული შეტევა ალვარომ სუპერდარტყმით (გამორბენის გარეშე, ფეხის წვერით) გააგრძელა და ბურთი კარიდან ოდნავ წინ გამოსული მიგინეიშვილის ზურგსუკან, პირდაპირ „ცხრიანში“ გაგზავნა! მატჩის დამთავრებამდე 18 წუთი რჩებოდა, პლუს რიცხობრივი უპირატესობა, მოკლედ, ყველა პირობა იყო შექმნილი, მასპინძლებს რომ უპრობლემოდ მიეყვანათ საქმე გამარჯვებამდე. თუმცა, მალე **გიორგი რეხვიაშვილმა** სიმულაციისათვის მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და სტუმრებსაც მატჩის გადარჩენის შანსი მიეცათ. ზაზა ჭელიძესაც შეეძლო გოლის გატანა, ნიკა საბანაძესაც და **გიორგი დათუნაიშვილსაც,** მაგრამ უშედეგოდ. უკვე მსაჯის მიერ დამატებული წუთები იყო, **ვალერი ბოლქვაძის** ჩინებული პასის შემდეგ **ბექა ტულუშმა** რთული მდგომარეობიდან მიზანს მცირედით რომ აცილა; სულ ბოლოს კი გაძევებული ზარქუას ნაცვლად „დინამოს“ კარში... ლევან ხმალაძე რომ ჩადგა და მეკარის ხელთათმანები მოირგო, სტუმრებმა ვერც ერთხელ შეძლეს „ახალი მეკარის“ შეწუხება: ბოლქვაძის „სტანდარტულიც“ კარს ასცდა და საბანაძის თავურიც...

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გოლები გატ | ნაშე | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 2 | 6 |
| 2 | დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 2 | 6 |
| 3 | ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | 3 |
| 4 | ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | 3 |
| 5 | ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 3 | 3 |
| 6 | მეტალურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8 | მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 3 | 3 |
| 9 | სიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 |
| 10 | ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 |
| 11 | ყოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 12 | დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 0 |

**III ტური**

**25 აგვისტო შაბათი**

**მეტალურგი-მერანი**
**დინამო (თბ)-დინამო (თბ)**
**კოლხეთი-ზუგდიდი**
**ვიტ ჯორჯია-ჩიხურა**
**დილა-სიონი**
**ტორპედო-ზესტაფონი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტური

მათე ვანაძის (№11) დუბლმა დილას ვერ უშველა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ეს ევროპა არ არის...

18.08.12. თბილისი. მ. მესხი.
800 მაყურებელი

**დილა** 2

**ჩიხურა** 3

0:1 გოცირიძე (2. ოდიკაძის პასით), 1:1 ვანაძე (34. გურულის პასით), 1:2'გოცირიძე (51. კვასხვაძის პასით), 1:3 დეკანოიძე (63), 2:3 ვანაძე (75. გურულის პასით).'

| დილა 4-2-3-1 | ჩიხურა 4-2-3-1 |
|---|---|
| სპენდერი | სომხიშვილი |
| შაშიაშვილი | ოდიკაძე |
| სალუქვაძე | ლ. ჯელიძე |
| გ. ონიანი | გუშარაშვილი |
| ჯვირჯველია | ქიმაძე |
| ბეჭვნი | დიღმელაშვილი |
| გვალია | ლომაშვილი |
| ახალაცი | ყირკიტაძე |
| ს. გურული | ნ. კვასხვაძე |
| გოგუა | დეკანოიძე |
| ვანაძე | რ. გოცირიძე |
| მწვრთნელი: თ. ბალაბერიძე | მწვრთნელი: ს. ფრუიძე |

**დილა**

57. ახალაცი - **ილურიძე**
62. შაშიაშვილი - **კაშია**
71. გოგუა - **გორელიშვილი**

*სამაჯარიგოები: შეყრილაძე, კახელიშვილი, კაცოტაძე, ჯიშკარიანი.*

**ჩიხურა**

70. დეკანოიძე – **გ. ჩხეტიანი**
79. ლომაშვილი - **ძამსაშვილი**
82. კირკიტაძე – **ბაკურაძე**

*სამაჯარიგოები: მწყერაშვილი, ბერიანიძე, ნ. მაისურაძე, მუმლაძე.*

გაფრთხილება: **სომხიშვილი (29), ონიანი (65).**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია.**

მოულოდნელი და დაძაბული სიუჟეტი, ინტრიგა, ლამაზი კომბინაციები უამრავი სახიფათო მომენტი, გოლების სიმრავლე და სენსაცია – ეს ყველაფერი ერთად "დილა"—"ჩიხურას" მატჩზე ვიხილეთ. საბედნიეროდ, შეხვედრა გუნდების მესვეურთა პოლიტიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა და ბოლომდე სპორტულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

აშკარაა, გორის „დილას" ფეხბურთელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ევროპაში "დაფრინავენ", ეროვნულ ჩემპიონატზე კი ჯერ სათანადოდ ვერ გადმოერთვნენ და ზედიზედ მეორე მატჩიც წააგეს.

მაგრამ **სოსო ფრუიძის** გაწვრთნილთა მოგებას ესეც ვერ გააუფერულებს: გუნდმა ჩემპიონატის დაწყებამდე გამოცდილი მოთამაშეების მთელი ჯგუფი დაიმატა, რომელთაგანაც გორელებთან მხოლოდ ტრავმირებულ **ედიკ საჯაიას** არ უთამაშია. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის გუნდის მთავარი ძალა: საჩხერელებმა კონტრშეტევაზე თამაშის კლასიკური მაგალითი აჩვენეს, ფლანგებზე ძალიან სწრაფად და აგრესიულად აქტიურობდნენ, ბურთს "არ ანვალებდნენ", მთელი გუნდი კი ბევრს მოძრაობდა.

„ჩიხურა" შეტევებს, ძირითადად, მარჯვენა ფლანგიდან ახორციელებდა, სადაც **დავით ოდიკაძე** და **ნიკა კვასხვაძე** აქტიურობდნენ, მარცხნიდან არც **ბესიკ დეკანოიძე** ასვენებდათ, თავდამსხმელი **რევაზ გოცირიძე** კი ყოველთვის საჭირო პოზიციაზე ჩნდებოდა. ბევრი იმუშავეს საყრდენებმა, **ვაჟა ლომაშვილმა** და **დავით დიღმელაშვილმა**, გორელებმა ვერაფერი მოუხერხეს უსწრაფეს და სასარგებლო ნახევარმცველ **დავით კირკიტაძეს**. უცნაურია, ამ 19 წლის ბიჭს, რომელიც უმაღლეს ლიგაში უკვე 3 წელიწადია თამაშობს, ნაკრებში ყურადღებას რომ არ აქცევდნენ და არც აქცევენ. არადა, იმსახურებს.

საჩხერელთა კონტრშეტევამ შედეგი უკვე მე-2 წუთზე გამოიღო: კარისკენ უსწრაფესად დაიძრა ოდიკაძე, იოლად გასცდა მცველს და ბურთი კარისკენ ზაკიდა, მეკარე **მარინ სკენდერი** დროულად ვერ გამოვიდა, გოცირიძემ კი ბურთს ფეხი ნაჰკრა - 0:1.

„დილა" ასეთმა დასაწყისმა არ დააბნია და შეუტია, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მალე კვლავ მის კართან შეიქმნა: მეკარესთან პირისპირ **კვასხვაძე** დარჩა, თუმცა გორელთა მეკარეს ვერ აჯობა. "ჩიხურას" ნახევარმცველს კიდევ ჰქონდა კარის აღების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა.

"დილა" კი ზენოლას აძლიერებდა. 1მე-17 წუთზე **გოგიტა გოგუამ** საჯარიმოდან უძლიერესად დაარტყა: მეკარე **გიორგი სომხიშვილმა**, რომელმაც შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა, ბურთი "ცხრიანიდან" მოხსნა!

გორელებმა მიზანს მაინც მიაღწიეს, რაც უმთავრესად მათ შორის საუკეთესოების, **მათე ვანაძისა** და **სანდრო გურულის** დამსახურება იყო: კუთხურის დროს მცველების დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ჩასულმა ვანაძემ ბურთი თავით მოიგერია, ცენტრამდე თავადვე გაჰყვა, გურული ფლანგზე შენიშნა, რომელმაც ბურთი საჩხერელთა საჯარიმოში დაუბრუნა და "დილას" თავდამსხმელმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1. ლამაზი და კლასიკური კომბინაცია იყო.

მეორე ტაიმში „დილამ" ტემპს უმატა, მაგრამ "ჩიხურას" მორიგი აზრიანი კონტრშეტევისას მარჯვნა ფლანგიდან კვასხვაძემ საჯარიმოში კარგად გახსნილი **გოცირიძე** მოძებნა, რომელმაც ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა და დუბლი შეასრულა – 1:2.

ათ წუთში კი "დილას" დაცვის მოშიშვლებით **ბესიკ დეკანოიძემ** ისარგებლა, მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში გაიტანა – 1:3.

„დილამ" შტურმი სცადა, საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ **გიორგი ილურიძემ**, ვანაძემ, გურულმა, **ლაშა გვალიამ** მეკარეს ვერ აჯობეს. ბოლოს ისევ სადღეისოდ საუკეთესო ქართველმა თავდამსხმელმა ვანაძემ ივარგა, რომელიც ისევ და ისევ გურულის ჩინებული ჩაწოდება დაგვირგვინა – 2:3.

გორელებმა მეტი ვეღარ შეძლეს, 85-ე წუთზე კი მეოთხე გოლს გადაურჩნენ, როდესაც სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ ოდიკაძისგან მიღებული ბურთი **გაგა ჩხეტიანმა** კარისკენ თავით გაგზავნა, მაგრამ სკენდერმა კარის ხაზზე დაამინა.

"ჩიხურამ" მოულოდნელად, მაგრამ დამსახურებულად გაიმარჯვა. გორელებისთვის პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" მატჩამდე ეს ნაგება ევროპის ლიგის პლეი ოფში დროული "ცივი შხაპი" იყო, სოსო ფრუიძის "ჩიხურა" კი ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვიცე-ჩემპიონის რევანში

18.08.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
3000 მაყურებელი

**ზესტაფონი** 0

**მეტალურგი** 1

0:1 ტატანაშვილი (15)

| ზესტაფონი 4-4-1-1 | მეტალურგი 4-4-1-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ჭოსმანი |
| თორ. გრიგალაშვილი | ხუფარიძე |
| თედ. გრიგალაშვილი | მახვილაძე |
| ალაკაჯიშვილი | ინწკირველი |
| ელიავა | სეხნიაშვილი |
| ალფაური | დობროვოლსკი |
| ბაბუნაშვილი | განუგრავა |
| გორგიაშვილი | ი. მაისურაძე |
| მილხრაული | რაზმაძე |
| დ. მუჯირი | სიხარულიძე |
| ოვონიკოკო | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: გ. ჯიბრიშვილი | მწვრთნელი: ჯ. ჟორჟიკაშვილი |

**ზესტაფონი**

52. ბაბუნაშვილი - **შარიქაძე**
56. თედ.გრიგალაშვილი - **კოგახიძე**
68. მუჯირი - **კვერნაძე**

*სამაჯარიგოები: მამალაძე, ღონღაძე, რაჟამაშვილი, სამუშია*

**მეტალურგი**

62. დობროვოლსკი - **გ. მიქაბერიძე**
62. სიხარულიძე - **გიორგი გურეშიძე**
82. განუგრავა - **ქავთარაძე**

*სამაჯარიგოები: ბათიაშვილი, გავაშელიშვილი, დ. ჯანელიძე, ლობჟანიძე*

გაფრთხილება: **განუგრავა (28), მაისურაძე (35), ჯაფარიძე (75), მიქაბერიძე (81), მილხრაული (89)**

არბიტრი: **ჯ. ხორავა**

მოქმედი ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის დაპირისპირება ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა იყო. გასულ ჩემპიონატში ორივე გუნდი პირველობისთვის იბრძოდა და ისე მოხდა, რომ გაუმართავი დებულების გამო ბოლო ტურში ორივემ ჩემპიონობა იზეიმა. სფფ-ს აღმასკომის გადაწყვეტილებით ოქროს მედლები „ზესტაფონს" გადაეცა, რუსთაველები კი იმედგაცრუებულნი დარჩნენ. წინა სეზონი გავიხსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონატსა და თასზე გუნდებმა ერთმანეთში 6 შეხვედრა ჩაატარეს. აქედან ზესტაფონელებმა ოთხში შეძლეს ქვემოქართლელთა ძლევა, 2 მატჩში კი ფრე დაფიქსირდა. სტატისტიკა აშკარად **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდის სასარგებლოდ მეტყველებდა, თუმცა რუსთაველები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი და პრინციპული მატჩის მოსაგებად ორმაგი მოტივაცია ჰქონდათ.

გუნდები შეხვედრას დანაკლისით შეხვდნენ. ზესტაფონელებს **ზურაბ მენთეშაშვილი** და შეტევის ლიდერი **ჯაბა დვალი** აკლდათ. ჯაბას არყოფნის ოფიციალურ მიზეზად ტრავმა სახელდება, თუმცა როგორც ამბობენ, დვალი სხვაგან ეშურება კარიერის გაგრძელებას და მისი უთამაშებლობის მიზეზი შესაძლოა ესეც იყოს. რაც შეეხება რუსთაველებს, წინა მატჩის შემადგენლობიდან მათ **გეწაძე, ლობჟანიძე** და მეკარე **ბედიაშვილი** არ ჰყავდათ, თუმცა ქვემოქართლელთა ახალწვეულმა ხორვატმა გოლკიპერმა **ივან ხოსმანმა** ისე დამაჯერებლად ითამაშა, რომ დანაკლისს ვერ ვუწოდებთ. როგორც ჩანს, ხოსმანი რუსთაველთა ძირითად მეკარედ მოიაზრება და თუ „ზესტაფონთან" მისი გარჯით ვიმსჯელებთ, ქვემოქართლელებს კარგი შენაძენი ჰყავთ.

შეხვედრა, რომელშიც რუსთაველებმა ნავსი გატეხეს და „ზესტაფონთან" ნანატრი გამარჯვება მოიპოვეს, საკმაოდ მძიმე და უფერული გამოდგა. თუმცა, გამონათებები ორივე გუნდს ჰქონდა და საგოლე მომენტებიც იქმნებოდა. თამაში ზესტაფონელთა უპირატესობით დაიწყო. დვალის არყოფნაში მასპინძლები ერთი გამოკვეთილი ფორვარდით — **აბაიომი ოვონიკოკოთი** უტევდნენ, რომელსაც ოდნავ სილრმიდან **დავით მუჯირი** ეხმარებოდა. მასპინძლები ბევრს მოძრაობდნენ და პირველი ხიფათიც მათ შექმნეს, **თორნიკე გორგიაშვილმა** საჯარიმოს მისადგომებიდან სახიფათოდ გაისროლა, თუმცა, ხარიხას გადააცილა. შეტევაში გართულ ზესტაფონელებს რუსთაველთა იშვიათი იერიში გამოეპარათ. სტუმართაგან საუკეთესო მოთამაშემ **ირაკლი მაისურაძემ** შორეულ ძელთან ჩაჰკიდა ბურთი, სადაც **დიმიტრი ტატანაშვილმა** დასწრებაზე ითამაშა, პირველი დარტყმა **როინ კვასხვაძემ** მოიგერია, მაგრამ მისგან გამოვარდნილი ბურთი ისევ სტუმართა ფორვარდთან აღმოჩნდა და ტატანაშვილის მეორე დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა. გოლმა ზესტაფონელები გააშმაგა, შეტევები უფრო გამწვავდა, მაგრამ რუსთაველი მცველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „აგრესიულ" მასპინძლებს კარში დარტყმის საშუალებას არ აძლევდნენ. ზესტაფონელებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლეს რეალური მომენტის შექმნა, როცა **გორგიაშვილმა** მცირედით ააცილა მიზანს, თუმცა იქვე რუსთაველებმაც უპასუხეს და მაისურაძის დარტყმის შემდეგ უკვე მასპინძლები გადაურჩნენ გოლს.

მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. ჭიაბრიშვილმა შეცვლებს მიმართა და ზესტაფონიც გააქტიურდა. ფეროელები ანგარიშის გათანაბრებასთანაც ახლოს იყვნენ, ოვონიკოკოს მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი კარში მიდიოდა, მაგრამ რუსთაველები **ლაშა ჯაფარიძემ** იხსნა, რომელმაც ზედ კარის ხაზიდან მოიგერია ბურთი. ამას ახლო მანძილიდან **აფციაურის** უზუსტო დარტყმა მოჰყვა. შემდეგ ეპიზოდში ზესტაფონელთა გერმანელი ლეგიონერი **პატრიკ მილხრაუმი** აკეთებდა გამჭოლ გადაცემას, ბურთმა რუსთაველ მცველებს კი ჩაუქროლა, მაგრამ დასწრებაზე ვერც ზესტაფონელებმა ივარგეს. სტუმართა პასუხმა არ დააყოვნა, ტატანაშვილის სოლორეიდისა და პასის შემდეგ **გიორგი განუგრავამ** საჯარიმოს შიგნიდან კარში დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და კარს ოდნავ ასცდა, ზესტაფონელები აშკარა გოლს გადაურჩნენ. დარჩენილ დროში მასპინძლებს შეეძლოთ თამაშის გადარჩენა. განსაკუთრებით აფციაურისა და შეცვლაზე შემოსული **ოთარ კვერნაძის** სახიფათო დარტყმებია აღსანიშნავი. პირველ ეპიზოდში ბურთი სამიზნეს ასცდა, კვერნაძის დარტყმისას კი მეკარე **ხოსმანი** გაისარჯა საუცხოოდ.

**მაჭრის შემდეგ**

**კობა ჟორჟიკაშვილი (მეტალურგი):** „პირველ მატჩში „დინამოსთან" ნაგების შემდეგ საკმაოდ რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ ძალების მობილიზება მოვახერხეთ და ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. გოლის შემდეგ უპირატესობა „ზესტაფონს" ჰქონდა, მაგრამ დაცვაში ჩვენც არ „ჩავმჯდარვართ", აქტიური თამაშით შევძელით სასურველი შედეგის მიღწევა. „ზესტაფონში" ბევრი ცვლილებაა, გუნდი თავიდან ყალიბდება და ეს მომენტი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენეთ".

**გიორგი ჭიაბრიშვილი( ზესტაფონი):** „რთული თამაში იყო, ხარისხი დაბალი. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი წუნი გვქონდა. მეტოქემ კარგად ითამაშა და თავისი შანსი გამოიყენა. ვეცდებით, მომდევნო შეხვედრებისთვის ეს ხარვეზები გამოვასწოროთ და გულშემატკივარს ნამდვილი „ზესტაფონი" დავუბრუნოთ".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტური

18.08.12. ბოლნისი. თ. სტეფანია. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| კოლხეთი | 0 |

| სიონი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| ბოგდიაშვილი | ა. მიქაბერიძე |
| ორბელაძე | ნაბრია |
| სვანიძე | ესასოვსკი |
| ქემოულიძე | ფარულავა |
| ჩიჯავილაძე | გაბუნია |
| ვედია | ქობაძე |
| მანწყავა | ცხადაია |
| გ. ოქროპირიძე | ჩალაძე |
| ქუცურა | ბ. დათუნაიშვილი |
| რ. ჯიქია | კობერიძე |
| უგულავა | პავლიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ჯ. ჯაგიდისი | დ. მახარაძე |

**სიონი**

65. ქუცურა – **ისიანი**
70. უგულავა – **ჟანკოტაძე**
80. ოქროპირიძე – **ჯოჯუა**

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ხუბუა, ვ. უგრეხელიძე, ნემსაძე*

**კოლხეთი**

46. კობერიძე – **მეგრელიშვილი**
69. ცხადაია – **გოგონაია**
72. პ. დათუნაიშვილი – **კვანტალიანი**

*სათადარიგოები: ბუბუტეიშვილი, გ. კილასონია, ცხვიტარია, ზ. ჩხეტიანი*

გაფრთხილება: ქუცურა (25), ოქროპირიძე (30), ცხადაია (32), მანწყავა (49), ჩალაძე (50), მიქაბერიძე (84)

არბიტრი: თ. ხუჭუა

# ნულოვანი, მაგრამ სანახაობრივი

"სიონმა" ჩემპიონატი ორი საშინაო მატჩით დაიწყო და იმის მიუხედავად, რომ მეტოქეებად დაახლოებით თავისი დონის გუნდები ჰყავდა, ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. შაბათს ბოლნისელები სამ ქულასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოძებული შანსები ვერ გამოიყენეს, კვლავ ფრეს დასჯერდნენ, რაც მათთვის მთლად სახარბიელო შედეგი ვერ უნდა იყოს.

"სიონმა", რომელმაც დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელის, **ხვიჩა ქასრაშვილის** გარეშე ითამაშა, ყველანაირად სცადა გამარჯვების გოლის გატანა, თუმცა გარჯა არც სტუმრებს უნდა დავუკარგოთ, რომლებიც მასპინძელთა იერიშებს სათანადოდ გაუმკლავდნენ და საგოლე შესაძლებლობა თავადაც გაანიავეს.

მატჩის დებიუტში ბოლნისელებმა ორი რეალური საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან – მე-6 წუთზე **გიორგი მანწკავამ გიორგი ჭედია** მეტოქის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. "სიონის" ახალწვეულს ხელს არავინ უშლიდა ბურთის დასამუშავებლად და კარში დასარტყმელად დრო საკმაოდ ჰქონდა, თუმცა "კოლხეთის" კარი **არდალიონ მიქაბერიძემ** იხსნა. მე-10 წუთზე კი თავად მანწკავა გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე და მიზანმა სულ მცირედით უმტყუნა – ბურთი ფოთელთა კარის ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ "სიონი" შეძლებისდაგვარად განაგრძობდა მეტოქის უკანა ხაზის შეწუხებას, თუმცა ვერც კომბინაციური თამაშითა და ვერც სტანდარტებით მიზანს ვერ უწია. ქასრაშვილის ფეხბურთელებს კუთხურის შედეგადაც შეეძლოთ დანინაურება, მაგრამ თავური რამდენიმეჯერ არაზუსტად შეასრულეს.

"კოლხეთს" მეტოქის დასჯა და დაუნერელი საფეხბურთო კანონის ამოქმედება 64-ე წუთზე შეეძლო, როცა **ილია პავლიაშვილის** ახლო მანძილიდან დარტყმულს "სიონის" მეკარე **მინდია ბობღიაშვილი** შესაშური რეაქციით გადაეფარა.

აშკარად იგრძნობოდა, რომ **დავით მახარაძის** გუნდი ფრეზეც ყაბულს იყო, ბოლნისელებმა კი გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლეს და იღბალმა კიდევ ერთხელ დააღალატათ. მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო, მესამე წუთზე "სიონმა" ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, "კოლხეთის" ფეხბურთელმა ბურთის მოგერიება სცადა და კინაღამ ავტოგოლი გაიტანა – ფოთელები ამჯერად ხარიხამ იხსნა.

მსაჯის საფინალო სასტვენიც იქვე გაისმა და მცირერიცხოვანმა ბოლნისურმა პუბლიკამ სტადიონი უკმაყოფილომ დატოვა, "კოლხეთმა" კი მიმდინარე სეზონში პირველი ქულა მოიპოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

18.08.12. ბანმუხერი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი | 2 |
| ბათუმი | 0 |

1:0 კუტალია (6), 2:0 კუტალია (32. პენ.)

| ზუგდიდი | ბათუმი |
|---|---|
| 4-5-1 | 4-5-1 |
| ძაგანია | გ. შუნგელია |
| ფოფხაძე | ფარტენაძე |
| ს. თოდუა | ზ. ლობჟანიძე |
| გამეზარდაშვილი | ქორიძე |
| აპობია | ხუხია |
| რ. ონიანი | ბ. მახარაძე |
| დ. ბოლქვაძე | ცანავა |
| პომპაძე | დიასამიძე |
| წურწუმია | ბერიძე |
| ჟუბალია | სიჯინავა |
| გაბედავა | ჯორბენაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | გ. გურული |

**ზუგდიდი**

58. კოშკაძე – **ქოგალია**
58. წურწუმია – **შ. ლომია**
73. ბოლქვაძე – **სიხარულია**

*სათადარიგოები: მერლანი, აფაქიძე, ბოიომო, კუკავა*

**ბათუმი**

28. მახარაძე – **ა. მუჯირი**
60. სიჭინავა – **გაციკაძე**
83. დიასამიძე – **კლოვისი**

*სათადარიგოები: ვ. თევდორაძე, ტაკიძე, მაკარიანი, კაკულია*

გაფრთხილება: შენგელია (31), ლომია (61), ცანავა (76), ქორიძე (77)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# გოლი, რომელიც ნებისმიერ ჩემპიონაგს დაამშვენებდა

შეხვედრა "ზუგდიდის" უპირატესობით წარიმართა და მიხივე გამარჯვებით დასრულდა. მატჩის გმირი მასპინძელთა ნახევარმცველი **ლევან კუტალიაა**, რომელმაც თავისიანების გამარჯვება "დუბლით" უზრუნველყო. განსაკუთრებით ეფექტური მისი პირველი გოლი გამოდგა – კუტალიამ ბურთი "ბათუმის" კარში დაახლოებით 40 მეტრიდან გაახვია. 32-ე წუთზე მანვე თანაგუნდელ **ლევან წურწუმიას** წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მეორე ტაიმში ანგარიშის გაზრდა ახალგამოჯანმრთელებულ **ირაკლი ქობალიას** შეეძლო, მაგრამ მისი თავური ხარიხას მოხვდა. სტუმართაგან გატანა **ნიკა დიასამიძეს** შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმაც ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

"ზუგდიდის" პრესსამსახურის დახმარებით, მწვრთნელთა მატჩისშემდგომი კომენტარებიც მოვიპოვეთ:

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): "ეს ჩემი გუნდის საუკეთესო თამაში არ ყოფილა, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებს თავდადებული თამაშისთვის მადლობას ვუხდი. გვქონდა შეცდომებიც, რომელთა გამოსწორებაზეც აუცილებლად ვიზრუნებთ. კუტალიას პირველი გოლი კი ნებისმიერ ჩემპიონატს დაამშვენებდა".

**გია გურული** (ბათუმი): "ჩემი გუნდისგან უკეთეს თამაშს მოველოდი. ყველანაირად ვეცდებით, რომ მომდევნო მატჩებში უკეთესი შთაბეჭდილება დავტოვოთ. მეტოქეს კი გამარჯვებას ვუსურვებ".

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროპული ბიბლიოთეკა

# დილას მეგოქე ევროსამზადისმა ვერ დააბრკოლა

23 აგვისტოს გორის "დილა" ევროპის ლიგის პლეი ოფის პირველ მატჩს სტუმრად პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" ჩაატარებს. საქართველოს თასის მფლობელისგან განსხვავებით, "მარიტიმუ" ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ შინაურ სარბიელზეც კარგად ასპარეზობს.

შაბათს პორტუგალიის ჩემპიონატის პირველ ტურში კუნძულელები "რიუ ავეს" ესტუმრნენ და 1:0 დაამარცხეს. გამარჯვების გოლი 87-ე წუთზე "მარიტიმუს" ბრაზილიელმა მცველმა **ჟოაო გილერმემ** გაიტანა.

"მარიტიმუმ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **სალინი, ბრიგელი, ჟოაო გილერმე, რობერჟი, რუბენი, რაფაელ მირანდა, ჟოაო ლუისი, სემედო (65. დავიდ სიმაო), სამი (81. ადილსონი), ფიდელისი (66. დანილო დიასი), ელდონი.**

აღსანიშნავია, რომ "მარიტიმუს" სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ სამი პორტუგალიელი იყო, უმრავლესობას კი ოთხი კაცით ბრაზილიელები შეადგენდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# იბერიამ გაიბრწყინა

ლვოვში მიმდინარე ფუტსალის საერთაშორისო ტურნირი "იბერია სტარის" ჩინებული გამარჯვებით დასრულდა. ჯგუფური ეტაპის 100-პროცენტიანი შედეგით გამარჯვებულმა საქართველოს ჩემპიონმა ფინალში რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, ტიუმენის ოლქის "გაზპრომ-იუგრას" 3:2 მოუგო და "ლვოვშჩინას თასს" დაეუფლა.

"გაზპრომის" დაფინანსებულ კლუბს რომ არ გაუჭირდება, ისედაც ცხადია. გუნდში 4 ბრაზილიელი ლეგიონერი თამაშობს, **რობინიო, ედერ ლიმა, კატატა და ფერნანდო.** ედერ ლიმა ევროპის „ოქროს ბუცის" მფლობელია, ხოლო რობინიოს თავის დროზე ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული და მაშინ მისი მწვრთნელი "იბერიას" ახლანდელი დამრიგებელი **სერჟიო ბენატი** იყო.

თავიდან **ბესიკ ზოიძის** განვრთნილი "იუგრა" დანინაურდა, მაგრამ გოლი ძალზედ საეჭვო გამოდგა: **დმიტრი ლისკოვის** უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ იატაკზე დაეცა, მსაჯმა კი გოლი დააფიქსირა. თავად რუსული კლუბის ოფიციალური ვებგვერდიც ვერ ამტკიცებს, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

თბილისელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა **აუგუსტომ** წონასწორობა წამებში პენალტით აღადგინა, ტაიმის მიწურულამდე "გაზპრომ-იუგრას" ქართველი მეკარის, **ზვიად კუპატაძის** კარი მეორედაც აიღო და "იბერია" 2:1 დანინაურდა.

დაძაბული გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი, **ლუსიომ** მესამედაც აიღო მოწინააღმდეგის კარი, შეხვედრის მიწურულს კი რუსებმა მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს.

**„იბერია": სელიო, აკოფოვი, ჯამბურია – რომარო, ალუუნაშვილი, ძაბირაძე, ჯვარაშვილი, რონინიო, ბეტო, ლუსიო, აუგუსტო, ბრუნო მელო.**

**მერაბ მამულაშვილი**

18.08.12. მარტვილი. ცენტრალური. 1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 ამბროლაძე (26)

| მერანი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-4-2 | 5-4-1 |
| ბერიზა | დაუშვილი |
| გეგეჭკორი | ხურცილავა |
| იობაშვილი | გოგიაშვილი |
| ქარქუზაშვილი | გეთიაშვილი |
| მელიავა | ესასრაძე |
| დიდავა | ლანიაშვილი |
| ნ. ნოზაძე | ჯორიფაძე |
| ფონიავა | ვასაძე |
| ამბროლაძე | გურ. გურეშიძე |
| რეხვიაშვილი | ზაქრაძე |
| ს. ლომია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ. ჟვანია | მ. ჯოჯუაშვილი |

**მერანი**

44. ნ. ნოზაძე - **გ. ჩხეტიანი**
63. მელიავა - **მჟელიშვილი**
75. რეხვიაშვილი - **ბუკია**

**ვიტ ჯორჯია**

55. ზაქრაძე - **ჯულელი**
85. კასრაძე - **ლოგჯანიძე**
87. ლანიაშვილი - **ჯავაშვილი**

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (24), ფონიავა (45), იობაშვილი (60), ჯავაშვილი (90+2)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# ისტორია მეორდება

წინა ტურში გორის "დილასთან" დაპირისპირებაში მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ, "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები "მერანთანაც" წარმატებას გეგმავდნენ, თუმცა მოვლენები მოედანზე სხვაგვარად განვითარდა. აქვე ვთქვათ ისიც, რომ ახალ სეზონს მარტვილის ცენტრალური სტადიონი განახლებული შეხვდა: კლუბის ხელმძღვანელობის ინიციატივით დამონტაჟდა ინდივიდუალური სკამები, კიდევ უფრო მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, განახლდა გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო და სამსაჯო ოთახები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არაფერი დაენუნებოდა მოედნის საფარს. თუ ასეთი მდგომარეობა წლის განმავლობაში შენარჩუნდა, მერანელებს საშინაო თამაშების გამართვასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ ექნებათ.

ახლა უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება: თამაში პრაგმატული, მაგრამ საკმაოდ დაძაბული გამოდგა. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, მაგრამ **ბექა ზაქრაძის** თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

ავტორის ფოტო

ტაიმის შუაწელს "მერანის" ფეხბურთელები დაეუფლნენ უპირატესობას, მათ არაერთი მწვავე შეტევა განახორციელეს და 26-ე წუთზე იხეირეს კიდევაც: მარჯვენა ფრთიდან **გიორგი რეხვიაშვილის** ძლიერად დარტყმული ბურთი **ნიკა დაუშვილმა** მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **გიგა ამბროლაძემ** აჯობა და დაანინაურა თავისიანები.

სხვა ღირებული პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა. შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა, ტემპთან ერთად იმატა მომენტებმაც. მასპინძლები საწყის წუთებში ახლოს იყვნენ გოლთან: გიგა ამბროლაძის გადაცემის შემდეგ შეცვლაზე შემოსული **ბექა ჩხეტიანი** დაემუქრა მონინააღმდეგის კარს, თუმცა ჩინებულად ითამაშა სტუმართა მეკარემ. ცოტა ხანში, იმავე ჩხეტიანმა **საბა ლომია** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმული ოდნავ უზუსტო გამოდგა.

ამის შემდეგ, სტუმართა ჯერიც დადგა. ერთმანეთის მიყოლებით მათ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი შექმნეს: ჯერ **ბესიკ ჩიმაკაძემ** დაარტყა სახიფათოდ, შემდეგ კი **გიორგი ვასაძე** წაიქცა მეტოქის საჯარიმოში, თუმცა მთავარი არბიტრი ეპიზოდთან ახლოს იყო და თამაშის წესის დარღვევა არ დააფიქსირა. გამოსაყოფია ასევე, **ჯემალ გოგიაშვილის** თავური. ანგარიშის გათანაბრების ყველაზე რეალური შანსი ვიტელებს მე-80 წუთზე მიეცათ: **გიორგი კორიფაძის** ჩამოწოდებულს თავი უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბესიკ ჩიმაკაძემ შეაგება, თუმცა მცირე მანძილით აააცილა კარს.

ბოლოსკენ "მერანმა" აქცენტი დაცვაზე გააკეთა, თუმცა არა იმდენად, რომ მეტოქეს მისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნა. სტუმრები კი აქტიურობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს, როგორც ანგარიშიდან ჩანს, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

გვერდს ვერ ავუვლით მატჩზე წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ლეგენდარული კაპიტნის, **მურთაზ ხურცილავას** სტუმრობის ფაქტს. ადგილობრივი დიქტორის მიერ მისი სახელის გამოცხადებამ, სტადიონზე მყოფ მრავალრიცხოვან ქომაგში მქუხარე ოვაცია გამოიწვია.

**მაბჩის შემდეგ**

**არჩილ ჩხაბერიძე (მერანი):** "ეს ჩვენთვის პირველი საშინაო შეხვედრა იყო. მოხარული ვარ, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. გუნდი შეთამაშების პროცესშია. მჯერა, თანდათანობით კიდევ უფრო მოვუმატებთ და ბევრჯერ გავახარებთ მარტვილელ გულშემატკივრებს".

**მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია):** "წაგება ჩვენს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ვფიქრობ, რომ არ გაგვიმართლა. მთლიანობაში თამაში თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, გოლი კი დასანან შეცდომას მოჰყვა. ვეცდებით ხარვეზები სამომავლოდ აღმოვფხვრათ."

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ჯანო ფორმაშია, ყველაზე ფასეული ოქრიაშვილის გოლია

ჯანო ანანიძე (მარცხნივ) სპარტაკის მთავარმა მწვრთნელმა უნაი ემერიმ შეაქო

ახლოვდება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი და საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებისა თუ კანდიდატების მდგომარეობა უფრო და უფრო გვაღელვებს. ვერ ვიტყვით, რომ მათი უმრავლესობის უცხოური მონაგარით კმაყოფილები ვართ, მაგრამ მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ ნელ-ნელა უფრო შედეგიანად ათამაშდებიან. გასული უქმეებიდან დადებითად გასახსენებელი ბევრი არაფერია, თუმცა პოზიტიური მომენტები მაინც იყო და ერთად გადავხედოთ, ვინ რით გამოიჩინა თავი გასულ შაბათ-კვირას.

გერმანიის თასის ოცდამეთორმეტედფინალში გამარჯვებულთა შორის "ბოხუმიცაა", რომელმაც სტუმრად "ჰაიდენჰაიმს" 2:0 სძლია. ორივე გოლი სლოვენიელმა **ზლატკო დედიჩმა** გაიტანა, რითაც **ნიკოლოზ გელაშვილს** ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი შეუმცირა. სასტარტოში "ბოხუმს" დედიჩისა და **ალექსანდრე იაშვილის** დუეტი ჰყავდა გამწესებული, გელაშვილი კი მოედანზე 85-ე წუთზე დედიჩის ნაცვლად შევიდა. იაშვილმა სრულად ითამაშა და მატჩის მე-6 წუთზე დედიჩმა ანგარიში სწორედ მისი გადაცემით გახსნა.

თასის გათამაშებას გამოეთიშა **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა". ბერლინელები გასვლაზე სამოყვარულო "ვორმატიასთან" 1:2 დამარცხდნენ.

გადავინაცვლოთ რუსეთის ჩემპიონატზე, სადაც მოსკოვის "სპარტაკმა" ყაზანის "რუბინს" სძლია, ამაში კი თავისი წვლილი **ჯანო ანანიძემაც** შეიტანა. მოსკოველთა ესპანელმა თავკაცმა **უნაი ემერიმ** ქართველი ნახევარმცველი მოედანზე 65-ე წუთზე შეუშვა. ამ დროისთვის "სპარტაკი" მარცხდებოდა, თუმცა თამაშის შემოტრიალება შეძლო და 2:1 გაიმარჯვა.

*"ჯანომ ტრავმირებული აიდენ მაკგიდის როლი კარგად შეასრულა და "სპარტაკის" შეტევებს მეტი დინამიკა შესძინა"*, - განაცხადა ნამატჩევს ემერიმ.

"კრასნოდარისა" და "როსტოვის" შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა. **ნუკრი რევიშვილი** კრასნოდარელთა 18-კაციან განაცხადში არც ამჯერად გამოჩენილა, გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილი** კი მოედანზე 90 წუთი გაატარა.

"ვოლგა" შინ მოსკოვის "ლოკომოტივთან" 0:2 დამარცხდა. მასპინძელთა შორის ამჯერადაც სრულად ითამაშა გია გრიგალავამ.

ქართველთა კლუბებიდან რუსეთში საუკეთესო პოზიცია "სპარტაკს" უკავია, რომელიც 12 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ "ზენიტს" კვალში უდგას.

უკრაინის პრემიერლიგაში "ქართული" გოლი **თორნიკე ოქრიაშვილმა** გაიტანა. ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა კიევის "არსენალთან" სტუმრად გამართული მატჩისას თავი 27-ე წუთზე გამოიჩინა, როცა ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ოქრიაშვილის "ილიჩევეცი" მარცხს მაინც ვერ გადაურჩა – 1:2. ოქრიაშვილი და **დავით თარგამაძე** "ილიჩევეციის" სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. პირველი მათგანი 69-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მეორე - 90-ეზე. "არსენალის" შემადგენლობაში **ალექსანდრე კობახიძე** 65-ე წუთიდან გამოჩნდა და 87-ე წუთზე არსენალელმა **ვლადიმირ გომენიუკმა** გამარჯვების გოლი სწორედ მისი პასით გაიტანა.

**მურთაზ დაუშვილი** მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ გააძევეს. "კარპატის" ქართველმა ნახევარმცველმა ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" საშინაო შეხვედრის 45-ე და 59-ე წუთზე მიიღო გაფრთხილებები. ამის მიუხედავად, ლვოველებმა გამარჯვება მაინც შეძლეს – 2:1.

"ვოლინი"-"ზარია" ფრედ, 2:2 დასრულდა. **ჯაბა ლიპარტია** "ზარიას" ძირითადში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს.

**ჯაბა კანკავა** და **უჩა ლობჟანიძე**, რომლებიც დღესდღეობით "კრივბასის" ღირსებას იცავენ, თავის ყოფილ კლუბს დაუპირისპირდნენ, "კრივბასისა" და "დნეპრის" მატჩი უგოლოდ დასრულდა, ქართველები კი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ლობჟანიძემ შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და პირველ ტაიმში გაფრთხილება მიიღო, კანკავა კი მატჩის მიწურულს შეცვალეს.

**გიორგი ჭანტურიას** ამჯერად თამაშის საშუალება არ მიეცა. იგი და კიდევ ერთი ვიტესელი, **ვაკო ყაზაიშვილი** "ზვოლე"-"ვიტესის" მთელი შეხვედრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** მოედანზე 90 წუთი დაყო, ქართველთა გუნდმა კი 1:0 გაიმარჯვა.

დაიწყო თურქეთის ჩემპიონატიც, რომლის პირველ ტურშიც **შოთა არველაძის** "ქაისერისფორმა" "ბურსასფორს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ზურაბ ხიზანიშვილმა**, რომელმაც ოფიციალური ინფორმაციით, ლუქსემბურგში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა ტრავმის გამო ვერ მიიღო, გუშინ მოედანზე 90 წუთი გაატარა.

დანიაში "ორჰუსმა" საკუთარ მოედანზე "ნორდსიელანდთან" 0:1 წააგო. **დავით დევდარიანი** "ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, მისი თანაგუნდელი **დავით სხირტლაძე** კი სათადარიგო გახლდათ.

მორიგი გოლი გაიტანა ფინური "ინტერ ტურკუს" თავდამსხმელმა **ირაკლი სირბილაძემ**. "ჰონკასთან" საშინაო შეხვედრაში მან ანგარიში 54-ე წუთზე გახსნა, მისმა გუნდმა კი 2:1 გაიმარჯვა და ვეიკაუსლიგის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბაქოს "ინტერმა" მესამე მატჩი ჩაატარა და პირველი გამარჯვება ჯერაც არ მოუპოვებია. **კახა ცხადაძის** გუნდმა შინ ლენქორანის "ხაზართან" 0:0 ითამაშა. **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, გიორგი ადამია** და **ბაჩანა ცხადაძე** "ინტერის" სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ.

უტევს სანდრო კობახიძე

"რავანისა" და "ბაქის" შეხვედრაც ფრედ, 1:1 დასრულდა. **გიორგი ფოფხაძე** "ბაქის" ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 73-ე წუთზე შეცვალეს. "ქიაფაზისა" და აზალ-ის მატჩში, რომელიც 0:2 დასრულდა, "ქიაფაზის" შემადგენლობაში ტყუშმა ძმებმა **ირაკლი** და **გოგა ბერაიებმა** ითამაშეს – პირველმა სასტარტოში, ხოლო მეორემ შეცვლაზე.

"თურანი" სტუმრად 0:3 განადგურდა "სიმურგთან". დამარცხებულთა ძირითად შემადგენლობაში **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **გოგა ფიფიამ** ითამაშეს, **ლევან ჩხეტიანი** კი ცვლილებაზე შევიდა.

სომხეთის პრემიერლიგაში ერევნული დერბი გაიმართა, რომლის გმირადაც **შოთა ჯიქია** მოგვევლინა. "ულისის" ქართველმა თავდამსხმელმა 77-ე წუთზე "არარატის" კარში გამარჯვების გოლი გაიტანა და თავის გუნდს 2:1 მოაგებინა.

ლატვიაში "დაუგავას" ფორვარდ **მამუკა ღონღლაძეს** ამჯერად არ გაუტანია. მისმა გუნდმა სტუმრად "იელგავას" 2:0 სძლია, ღონღლაძემ კი შეუცვლელად ითამაშა. "გულბენეს" ქართველმა ნახევარმცველმა **დავით ცისკარიშვილმა** "სპარტაკსთან" გასვლით მატჩში (2:2) საგოლე გადაცემა შეასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ოქრიაშვილმა კი გაიტანა. მაგრამ...

სავარაუდო ტრანსფერი

## ყარაბახი დვალის შეძენასთან ძალიან ახლოა

ქართული საკლუბო ფეხბურთი უფრო მაღალ დონეზეა თუ აზერბაიჯანული, ამაზე დავა ნამდვილად შეიძლება, სამაგიეროდ, ის არის უდავო, რომ ჩვენს მეზობლებს ჩვენზე განუზომლად დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ და ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელებასაც სისტემატურად ახერხებენ.

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ უახლოეს დღეებში აზერბაიჯანული "ყარაბახის" ფეხბურთელი გახდეს "ზესტაფონის" ლიდერი, საქართველოს გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი **ჯაბა დვალი**. როგორც შევიტყვეთ, მდიდარი აზერბაიჯანული კლუბი "ზესტაფონთან" აქტიურ მოლაპარაკებებს ანარმოებს და დიდი ალბათობით, "ყარაბახის" შეთავაზება კლუბისთვისაც ხელსაყრელი აღმოჩნდება და ფეხბურთელისთვისაც.

ჯაბა დვალი

დვალის მიმართ ბოლო პერიოდში დიდ ინტერესს იჩენდა თბილისის "დინამოც", მაგრამ როგორც შევიტყვეთ, დღესდღეობით დედაქალაქური კლუბი 27 ნლის თავდამსხმელისთვის ბრძოლას თითქმის ჩამოცილებულია.

ამ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება უფრო უპრიანი მაშინ იქნება, ზემოთ ნახსენები ტრანსფერი თუ განხორციელდება, თუმცა ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დვალის დონის ფეხბურთელი აზერბაიჯანში სათამაშოდ არ გვემეტება. ფაქტია, რომ საქართველოს ჩემპიონატისთვის იგი მეტისმეტად "გადამწიფდა", მაგრამ ვფიქრობთ, მას გაცილებით მაღალ დონეზეც შეეძლო წარმატებით თამაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

ქართველი მწვრთნელი ევროპაში

# ...ბელგიაში ბავშვებს ასე ზრდიან

**გია ჭინჭარაული ერთ დროს იმედისმომცემ თავდამსხმელად ითვლებოდა. თამაშობდა საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში, თბილისის "დინამოს" დუბლებში, იყო "სიჭაბუკის თასის" ბომბარდირი, რაც იმ დროისთვის ძალიან პრესტიჟულ ტურნირად ითვლებოდა...**

- საბჭოთა კავშირის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გავხდი, მერე გადავედი თბილისის "ლოკომოტივში", საიდანაც ჯარში წამიყვანეს და ამან ჩემს კარიერაზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

მცირე ხნით საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშე, 26 წლისა გერმანიაში წავედი დაბალ ლიგაში ვითამაშე და კარიერა დავასრულე. 33 წლის ასაკში ბელგიაში ჩავედი, ენა შევისწავლე, 7 წლის წინ კი "მეჰელენის" საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელობაც შემომთავაზეს. ამავე დროს ჩემი ბიჭი 10 წლისაა და "მეჰელენის" ასაკობრივ გუნდში ბელგიის ჩემპიონატში თამაშობს.

**- ბოლო დროს ბელგიურ ფეხბურთში კრიზისია.**

- ბავშვთა ფეხბურთს სწორედ ამიტომ აქცევენ უდიდეს ყურადღებას. მომავალ თაობასთან შემთხვევითი კაცი ვერ იმუშავებს. ჩვენ და მათ ბავშვებს ვადარებ და კრიზისი მათ კი არა, ჩვენ უფრო გვაქვს, რადგან ბევრად ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ამ რესურსს ვერაფრით ვიყენებთ. ამ დროს, სანაკრებო და საკლუბო დონეზე ბელგიური და ჩვენი ფეხბურთის მიღწევების შედარება არც შეიძლება. ეს იმ დროს, როდესაც ბელგიაში ორი ნიჭიერიდან ერთი ემიგრანტის შვილია, საქართველოში კი 99 პროცენტი ადგილობრივია.

საქართველოში ვერც ვაცნობიერებთ, რომ ნამდვილი საბადოს პატრონები ვართ, მაგრამ ვერ ვითვისებთ. ჩემი დასკვნით, ქართველი ბავშვი მხოლოდ და მხოლოდ ნიჭის ხარჯზე თამაშობს. აქ ყოფნისას თამაშებს ვესწრები და ვატყობ, რომ სერიოზული ფიზიკური მომზადება, სისწრაფესა და გამძლეობაზე მუშაობა აკლიათ. ბევრს ჰგონია, რომ 14 წლამდე დატვირთვები არ შეიძლება – ეს მცდარი შეხედულებაა. 5 წლიდან საათნახევარიანს ავარჯიშებენ, 14 წლისა კი უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშეა.

**- თქვენი აზრით, კიდევ რა არის ჩვენი ფეხბურთის მთავარი პრობლემა?**

- თანამედროვე ფეხბურთს ტემპში ძალიან ჩამოვრჩით. თითქმის ყველა ქართული გუნდისა თუ ნაკრების თამაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ძველ, შენელებულ კადრებს უცქერ. ნელი ტემპი, ბურთის ნვალება და თრევა, შეტევის მუდმივად შეფერხება,— ყოველივე ეს ევროპელისთვის მომბეზრებელი საყურებელია.

ერთადერთი, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თამაშმა დამაიმედა. ამ გუნდის მწვრთნელი ვასილ მაისურაძე გენიალური ბიჭი ჩანს, ჩვენს პირობებში გაზრდილი ბავშვები ასე აზრიანად და დალაგებულად რომ ათამაშა. ბელგიაში სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ქართველებმა ფანტასტიკურ შედეგს მიაღწიეს.

სანაკრებო დონეზე ჩვენი ბავშვები იმ პრობლემების შედეგებს იმკიან, რაც დასაწყისში ექმნებათ: ბელგიელები ყოველ შაბათ-კვირას ხვდებიან ჰოლანდიურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ კლუბებს, რომლებთან ჭიდილშიც კლასს იმაღლებენ. ჩვენს ბავშვებს კი ასეთი სპარინგ-პარტნიორები არა ჰყავთ.

ადრე ეს პრობლემა არ იყო და უკრაინელებთან, რუსებთან, ბელარუსებთან, უზბეკებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან, ლიტველებთან ხშირი თამაშებით კლასს ვიმაღლებდით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბავშვები და კლუბები ევროპას რომ სტუმრობდნენ და ამხანაგურ მატჩებს ხშირად ატარებდნენ, გაიგებენ, რაში ჩამორჩებიან, სისწრაფეში, ტექნიკაში, გამძლეობასა და აზროვნებაში რა ნაკლი გააჩნიათ და "პლზენთან", "აქტობესთან" და მით უფრო "ნეფთჩისთან" არ ნააგებდნენ.

**- როგორც ვიცი, ევროპელებს სეზონისთვის მომზადებაშიც განსხვავებული მიდგომა აქვთ.**

- რა თქმა უნდა. იქ ორთვიანი მოსამზადებელი ეტაპი არ არსებობს. ეს უფრო საბჭოური მოდელია. ყველაზე კარგი მომზადება ორკვირიანია, სადაც ბევრ საკონტროლო შეხვედრას ატარებენ. ფეხბურთელი ყველაზე უკეთ ისევ თამაშებით იზრდება, ეს ყველანაირ სირბილზე უკეთესია და არა მგონია, საკამათო იყოს. სისწრაფეს, ბურთის მიღებას, კომბინაციების დამუშავებისა და გუნდის შეთამაშების პრობლემას კროსი ვერ გადაწყვეტს.

მოკლედ, ბევრი პრობლემაა და გული მიკვდება, ჩვენი, უდავოდ ნიჭიერი ბავშვები ადგილს რომ ტკეპნიან.

**- ბელგიურ სკოლებში რამდენია გადასახადი?**

- ჩვენ ვიხდით წლიურ 350 ევროს და ამ თანხაში შედის ფორმის ზუსტად ისეთივე კომპლექტი, როგორითაც დიდი "მეხელენი" ასპარეზობს, უმაღლესი ხარისხის ბურთები და ბუცები, უცხოეთში წასვლისა და თამაშების ხარჯები. ანუ, ამ ყველაფერში თვეში დაახლოებით 30 ევრო გამოდის. ეს ბელგიაში მიზერული გადასახადია. საქართველოშიც იგივე თანხას იხდიან, მაგრამ სად ბელგიელისა და სად ქართველის შემოსავლები. იქ მსაჯის ანაზღაურებას და მსგავს რამეს მშობლები არ აგროვებენ.

11 წლიდან გადასახადს 100 ევრო ემატება: ჰოლანდიის აკადემიიდან მწვრთნელები ჩამოდიან და დამატებით ტექნიკაში ავარჯიშებენ.

**- ბავშვებს შეკრებებს უწყობენ?**

- მხოლოდ 3-4 დღიანი შეკრებებია, დამოუკიდებლობას რომ შეეჩვიონ. მაგრამ შეკრება ჩვენივე ქალაქში ხდება, ბავშვები ფსიქოლოგიურად რომ არ გადაიღალონ. ისინი ფაქიზ მოპყრობას საჭიროებენ და პატარა ასაკში მათი სახლიდან დიდი ხნით მოწყვეტა არც შეიძლება. ყოველივე ეს მხოლოდ 14 წლის ასაკიდან არის შესაძლებელი.

**მერაბ მამულაშვილი**

# კვეკვესკირს ზესტაფონში გასინჯავენ

"ზესტაფონი" 20 წლის მცველს **ირაკლი კვეკვესკირს** გასინჯავს. ეს ამბავი თავად ირაკლიმ გაგვიმხილა.

*"საქართველოში დღეს ჩამოვედი და მიხარია, რომ სამშობლოში, თანაც ჩემპიონ გუნდში მომიწვიეს. კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ სამ დღეში ყველაფერი გადაწყდება. ამ პერიოდში დამაკვირდებიან და მეცოდინება, ჩავირიცხები თუ არა. ხვალ "ზესტაფონში" პირველად ვივარჯიშებ"* – გვითხრა კვეკვესკირმა.

აფხაზეთში დაბადებული ფეხბურთელი მოსკოვში გაიზარდა, მოსკოვის „დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, შემდეგ ამ კლუბის დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა. მერე კარიერა „კრასნოდარის" რეზერვში გააგრძელა, საიდანაც უნგრეთის პირველი დივიზიონის „პეჩში" ჩაირიცხა.

სწორედ ამ კლუბიდან მიიწვია შარშან მარტში **ოთარ გაბელიამ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში და ავსტრიის საერთაშორისო ტურნირზე თავის გამოჩენის შანსი მისცა. "პეჩმა" გასული სეზონის დასრულებამდე "სზტკ-ენიმაში" გაანათხოვრა, ზაფხულში კი თავისუფალი აგენტი გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

სიმაო სამედიცინო შემოწმებისას

## სიმაო ესპანიოლში

პორტუგალიელი ნახევარმცველი **სიმაო საბროსა** თურქული „ბეშიქთაშიდან" „ესპანიოლში" გადავიდა. როგორც კატალონიური კლუბის ოფიციალური საიტი წერს, სიმაო თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა გუნდში, რომელსაც ფლანგის ნახევარმცველი ესაჭიროებოდა. სიმაო საბროსა ესპანეთის ჩემპიონატისთვის ახალბედა სულაც არ არის, მას „ბარსელონაში" და „ატლეტიკოში" უთამაშია. პორტუგალიელი 2011 წლიდან „ბეშიქთაშში" თამაშობდა. 32 წლის სიმაომ ნაკრების მაისურა 85-ჯერ მოირგო და 22 გოლი გაიტანა. ორი წლის წინათ მან საერთაშორისო კარიერა დაასრულა.

## დუდკა ლევანტეში

ვალენსიური „ლევანტე" პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველ **დარიუშ დუდკათი** გაძლიერდა. აქამდე დუდკა ფრანგულ „ოსერში" გამოდიოდა, კონტრაქტი დაუმთავრდა და ესპანეთში თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა. „ოსერი" ელიტიდან გავარდა და პოლონელს აღარ სურდა დაბალ დივიზიონში თამაში. დუდკამ 65-ჯერ მოირგო პოლონეთის ნაკრების მაისურა. დუდკა 28 წლისაა და საფრანგეთამდე „ამიცაში" და „ვისლაში" ასპარეზობდა.

## თვითმკვლელობა ვალიადოლიდში

„ვალიადოლიდის" სარეზერვო გუნდის ფეხბურთელმა **ხორხე ანდრეს მოდრონიომ** თავი მოიკლა. მისი ნათესავების თქმით, 20 წლის ფეხბურთელმა სიცოცხლე უიღბლო სიყვარულის გამო მოისწრაფა. 16 აგვისტოს მოდრონიომ „ტვიტერზე" წარწერა დატოვა - *„ყველას გკოცნით"*, მეორე დღეს კი მან თავი მოიკლა.

## მადუროს გული საგულეშია

„სევილიას" ჰოლანდიელ ახალბედა **ჰედვიგეს მადუროს** პროფესიული კარიერის გაგრძელების უფლება მისცეს. ახალ კლუბში გადასულს გულზე პრობლემები აღმოუჩინეს. თუმცა „სევილიას" მთავარმა ექიმმა **ხოსე ნარანხომ** განაცხადა, რომ მადუროს ორგანიზმს ინტენსიურად აკვირდებოდნენ, ტესტები ჩაუტარეს და დადგინდა, მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება - თამაში შეუძლია. 27 წლის ფეხბურთელი 2008 წლიდან „ვალენსიაში" თამაშობდა, თუმცა სულ 76 შეხვედრა დაუგროვდა ლა ლიგაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბარსელონა

# სონგის ბარსელონური სიმღერა იწყება

„არსენალის" კამერუნელი ლეგიონერი **ალექს სონგი** ამიერიდან „ბარსელონას" წევრია. აფრიკელი ზაფხულში კატალონიური გრანდის მეორე შენაძენია **ხორდი ალბას** შემდეგ. მის სანაცვლოდ ლონდონელებს 19 მილიონი ევრო გადაუხადეს. კამერუნელმა ნახევარმცველმა 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მისი გამოსასყიდი ფასი ამიერიდან 80 მილიონი ევროა. ფეხბურთელი ბარსელონაში დღეს ჩაფრინდება, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პუბლიკას წარუდგება. სონგი 24 წლისაა, მან პროფესიული კარიერა „ბასტიაში" დაიწყო, 2005 წლიდან კი „არსენალშია". სხვათა შორის, სონგს 10 ძმა და 17 და ჰყავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეალი

# დღეს, ან არასოდეს

## ტოტენჰემი: ლუკას გზა ჩელსიში მიდის

ლონდონური „ტოტენჰემი" „რეალთან" კატათაგვობანას თამაშს აპირებს - „მარკას" ინფორმაციით, ინგლისელები ცდილობენ, „სამეფო კლუბის" გვერდის ავლით 26 წლის **ლუკა მოდრიჩის** ტრანსფერი „ჩელსიში" განახორციელონ. **დანიელ ლევი** მზადაა, მოდრიჩის ტრანფერი ბოლო დღემდე - 31 აგვისტომდე - შეაყოვნოს, ეს კი „რეალის" ხელმძღვანელობას არაფრით აწყობს. იგივე „მარკა" ამტკიცებს, რომ „სამეფო კლუბმა" მოდრიჩის ტრანსფერის საკითხის გარკვევის უკანასკნელ თარიღად 20 აგვისტო ანუ დღევანდელი დღე დაანესა.

„ტოტენჰემის" ბოსი **რომან აბრამოვიჩს** დაუკავშირდა და მას მოდრიჩი 40 მილიონი ევროს სანაცვლოდ შესთავაზა. სხვათა შორის, ეს ის თანხაა, რომელსაც რუსი მილიარდერი შარშან იხდიდა მოდრიჩში, მაგრამ „ტოტენჰემმა" ხორვატის გაყიდვა არ ისურვა.

დანიელ ლევი აშკარად „რეალის" ბოსის ნერვებზე თამაშობს, მაგრამ **ფლორენტინო პერესი** ის კაცი არაა, ასე იოლად რომ გატყდეს და ინგლისელის ანკესს წამოეგოს. ფაქტია, ლევი ცდილობს, ამით დაბნეულობა შეიტანოს ესპანურ ბანაკში და მას სატრანსფერო თანხა 35 მილიონამდე გააზრდევინოს, მაშინ როცა, ესპანური წყაროების მიხედვით, თანხა კლუბებს შორის შეთანხმებულია - 32 მილიონი ევრო (პლუს ბონუსები) და მოდრიჩი მადრიდისტა გახდება. პერესის მხარეს „ჩელსიში" შექმნილი სიტუაციაა - აბრამოვიჩმა უნდა გადაიხადოს **აზარში** 40 მილიონი ევრო და 30 მილიონი ბრაზილიელი **ოსკარის** სანაცვლოდ, რომელიც მოდრიჩის პოზიციაზე თამაშობს, ამას დავუმატოთ ისიც, რომ „ჩელსის" განაცხადი შევსებულია. თავად ფეხბურთელიც, „რეალში" თამაშზე ოცნებობს.

ბენდიანიშვილისგან განსხვავებით, ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა** მთლიანად გადაახალისა ევროპაზე ნაჭიდავები შემადგენლობა, მხოლოდ მედალოსნები დატოვა ანუ ჩემპიონები - **რამაზ ზოიძე** (46), **ირაკლი შავაძე** (50) და მესამე პრიზიორი **ნიკა გავაშელი** (76) წაიყვანა ბაქოში. სხვა წონებში ახალი ფალავნები გამოვლენ: **გენადი ჩიტაძე** (42), **ბაკურ გოგოლი** (54), **ლაშა ებილაშვილი** (58), **გელა ბოლქვაძე** (63), **გიორგი ჩხარტიშვილი** (69), **სულხან ბუიძე** (85), **ბექა კანდელაკი** (100). წლეულს ამ გუნდშიც შეიცვალა ბევრი მონაწილე, თუმცა ძველები მაინც ბლომად შემორჩნენ - ზოიძე, გოგოლი, ჩხარტიშვილი, კანდელაკი... კანდელაკმა შარშან ევროპაზე ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, თუმცა წაგო და მეხუთეზე დარჩა. თუმცა ამ გუნდში ყველაზე ტიტულოვანიც და ყველაზე საინტერესოც რამაზ ზოიძეა, რომელიც, ეტყობა, საბოლოოდ გადაიხარა ბერძნულ-რომაულისკენ. შეგახსენებთ, რომ ის ორივე სახეობის ჭიდაობაში გამოდის. მან ვარჯიში „თავისუფალში" დაიწყო, თუმცა მერე ბერძნულ-რომაულში გადავიდა და წარმატებებსაც მიაღწია - შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამე იყო. წლევანდელი სეზონი ჩემპიონობით დაიწყო. ვნახოთ, ასევე თუ დაასრულებს და მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინს თუ შეინარჩუნებს.

ამ ნაკრებიდან პირველ დღეს ანუ 25 აგვისტოს ისევ ის ზემოხსენებული ხუთი წონითი კატეგორია იასპარეზებს, რომლებიც „თავისუფლებში" დავასახელეთ.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# წყვილთა ფინალში

გერმანიის ქალაქ რატინგენში 20 წლის **ეკა გორგოძემ** (543) ერთეულთა თანრიგში მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც ქართველი მე-2 ნომრად განთესილ მასპინძელ **ლაურა ზიგმუნდთან** (374) დამარცხდა - 6:3, 1:6, 2:6. გორგოძისა და **სოფიო ქვაცაბაიას** (398) დუეტი წყვილთა ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი. მათ გაამართლეს ფავორიტის სტატუსი და ფინალში გავიდნენ. ფინალში მათი მეტოქეები გერმანელი **კიმ-ალის გრაიდეკი** და პოლონელი **სილვია ზაგორსკა** არიან, რომლებიც მე-2 ნომრად განთესეს ტურნირის ორგანიზატორებმა.



ეკა გორგოძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ოლიმპიადა. შეჯამება

# ფაქტები და ანალიზი

## როგორ გამოვედით ლონდონში?

ლაშა შავდათუაშვილი

7 მედალი და 39-ე ადგილი მსოფლიოს 219 ქვეყანას შორის - ასე დავასრულეთ ზაფხულის XXX ოლიმპიადა ლონდონში. ამ 7-დან 1 ოქროა და 3-3 - ვერცხლ-ბრინჯაო. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური სამყარო 20 წლის კარალელმა ძიუდოისტმა **ლაშა შავდათუაშვილმა** (66) გააოცა, რომელმაც 5-დან ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო (მათ შორის, იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ **მასაში ებინუმასთან**) და მსოფლიოს უპრესტიჟულეს ტურნირში ქულის დაუკარგავად გაიმარჯვა. ვერცხლის მედლებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბორჯომელი **რევაზ ლაშხი** (60) და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და თბილისელი **დავით მოძმანაშვილი** (120) დაეუფლნენ, ბრინჯაო კი ბერძენ-რომაელთაგან **მანუჩარ ცხადაიამ** (66), ხოლო „თავისუფალთაგან“ **დავით მარსაგიშვილმა** (84) და **გიორგი გოგშელიძემ** (96) მოიპოვეს.

აქ რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ბერძნულ-რომაულში **ვლადიმერ გეგეშიძისთვის** (84) წართმეულ ბრინჯაოზე, სამწუხაროდ, ახლა ამით არაფერი შეიცვლება. არადა, მსაჯებს ნამუსზე ხელი რომ არ აეღოთ, რაოდენობრივად შედეგი უფრო უკეთესი გვქნებოდა. თუმცა, თუ არბიტრთა კეთილსინდისიერებაზე ვსაუბრობთ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, გეგეშიძე ნახევარფინალშიც რომ არ დაეჩაგრათ რუსთა მომავალ ჩემპიონ **ალან ხუგაევთან**, ხარისხობრივადაც უკეთესი მაჩვენებელი გვექნებოდა.

თუმცა ახლა ეს მკითხაობა არაფერს გვარგებს - ფაქტია, რომ ჩვენი მონაგარი 7 მედალია. როგორი მაჩვენებელია ეს, როგორ უნდა შეფასდეს ჩვენი გუნდის გამოსვლა ოლიმპიადაზე? იქიდან გამომდინარე, რომ ამდენი მედალი თამაშებზე ჯერ არ გვქონია, ძნელია, წარუმატებელი უნოდო, თუმცა არის უკუსვლა მთელი რიგ ასპექტებში, რაც აღმატებულ ხარისხში შეფასების საშუალებას არ გვაძლევს. მაგალითად, წინა ოლიმპიადასთან შედარებით, როცა ბევრად ნაკლები დაფინანსებით, ისევ 35 სპორტმენით, ოღონდ - 33 საგზურით (მაშინ პლაჟბურთში 4 კაცზე 2 საგზური მოდიოდა) სამი ოქრო გვქონდა, ამჯერად ხარისხობრივად უარესი მაჩვენებელია. თავის მხრივ, ამან გუნდურ ჩათვლაზეც იქონია გავლენა და პეკინში 27-ზე ვიყავით, ამჯერად მექსიკასთან ერთად 39-ე ადგილს ვიყოფთ. თუმცა ისევ სტატისტიკისკენ გაგვექცა ფიქრი და მხოლოდ ციფრებში რომ იყოს უკუსვლა, კიდევ ავიტანდით, მაგრამ თამაშებიდან თამაშებამდე თანდათან ვიწროვდება მედლების გეოგრაფია სახეობების მიხედვით - ამჯერად მხოლოდ საჭიდაო სახეობებზე მოდის, სპორტი კი ჭიდაობაზე ბევრად ფართო ცნებაა. იქნებ საწყლისნო სახეობებში, ცურვასა და მძლეოსნობაში, სადაც მედლების უდიდესი ნაწილი თამაშდება, ძლიერები არც ადრე ვყოფილვართ, მაგრამ სადღაა ძალოსნობა, კრივი, ტყვიის სროლა, რომლებშიც ბოლო წლებში ოლიმპიადებზე მედლები გვქონდა! ძალოსნობა და ტყვიის სროლა თამაშებზე სტაბილურად დაახლოებით თანაბარი რაოდენობის სპორტსმენებით თუ მაინც გადიან, კრივში ამ მხრივაც გეომეტრიული რეგრესია და ამჯერად მხოლოდ ერთი კაცით წარვდექით. რეგრესი ასე თუ გაგრძელდა, რიო დე ჟანეიროს თამაშებისთვის რა პერსპექტივა გველოდება, უთქმელადაც მიხვდებით.

უკუსვლაა მშვილდოსნობაშიც, რომელიც ის ბედნიერი გამონაკლისია, სადაც ოლიმპიადაზე გუნდურ სახეობაში გამოვედით. სამწუხაროდ, ამჯერად წინა თამაშების მაჩვენებელი გაუარესდა და ორის ნაცვლად ბრიტანეთში ერთი სპორტსმენით წავედით, თუმცა ამაში მშვილდოსნებზე მეტად... ისევ მსაჯები არიან დამნაშავენი. მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე ქალთა ტურნირში მასპინძელ იტალიასთან მოგებული შეხვედრის გადათამაშება და ისე წაგება კარგად მოგეხსენებათ და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, თუმცა ვიტყვით, რომ კრივისგან განსხვავებით, აქ არ ვხედავთ იმის საშიშროებას, რიოში ეს ერთი საგზურიც სანატრელი გაგვიხდეს. მეტიც - ბრაზილიაში ქალებთან ერთად ვაჟ ოლიმპიელებსაც ველოდებით, ამ ოპტიმიზმს კი ჩვენი ახალგაზრდების წარმატება გვიძლიერებს.

ნამდვილად საგანგაშოა, რომ ლიცენზიების რაოდენობის თვალსაზრისით სპორტის ბევრ სახეობაში დიდი აღმასვლა არ შეინიშნება. ოღონდ ამ კუთხით პოსტლონდონურმა პერიოდმა რამდენიმე კარგი ტენდენციაც დაგვანახვა - ცურვაში პირველად მოვიპოვეთ ლიცენზია და მისმა ავტორმა **ირაკლი ბოლქვაძემ** არც ოლიმპიადაზე შეგვარცხვინა; მძლეოსნებმა ამჯერად ყველაზე მეტი - 4 საგზური მოიპოვეს (თუმცა ამაში გაქართველებული პოლონელი **მაჩეი როჩევიჩიც** წაგვეხმარა)... მართალია, მათი შედეგები ჯერჯერობით ბევრად ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს, მაგრამ ამ ეტაპზე რაოდენობაც საქმეა - ეს სამომავლოდ შედეგების ასამაღლებლად საჭირო ბალანსს ჰქმნის, ოღონდ საამისოდ აუცილებელია, ამ ფედერაციების განვითარება სწორი გზით წარიმართოს. მათ ბრაზილიაში ჩასვლა შედეგისთვის თუ უნდათ და არა მხოლოდ მონაწილეობისთვის, ძალიან დიდი მუშაობა მართებთ, როგორც სხვა ფედერაციებს.

რიოს მომავალი ოლიმპიადა ვახსენეთ და ზემოხსენებულ სახეობებთან ერთად დიდი შანსია, იქ ქართული ოლიმპიური რეალობისთვის ეგზოტიკური სახეობებიც ვიხილოთ. მაგალითად, ფარიკაობა და მხატვრული ტანვარჯიში, სადაც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა მოდის. მათ თავის ასაკში უკვე წარმატებების მოპოვებაც მოასწრეს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, თუმცა აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ბევრი სახეობა ვერც რიოში მოხვდება. მაგალითად, ცხენოსნობასა და თანამედროვე ხუთჭიდში ნაკლები პერსპექტივაა. იმავეს ვიტყვით სროლის სახეობებზეც. განსაკუთრებით - სასტენდოზე, სადაც ვითარების რადიკალურ გამოსწორებას არა და არ ადგება საშველი. დაგვეთანხმებით - ქართველებისთვის იარაღი, ნადირობა, მიზანში სროლა ისეთივე ტრადიციულია, როგორც - ცხენით ჯირითი...

ასევე ბუნდოვანია ბრაზილიაში გუნდურ სახეობებში მოხვედრის პერსპექტივა. აქ შედარებით კარგი პერსპექტივა წყალბურთს აქვს - მათ ამჯერადაც ცოტა დააკლდათ, მერე კი მოდიან კალათბურთი და ფეხბურთი. ოღონდ კიდევ ერთხელ ვიტყვით - საამისოდ სწორი მართვაა საჭირო, თორემ მარტო ნიჭიერი თაობა ან ფული საქმეს არ შველის. სამწუხაროდ, ფრენბურთისა და ხელბურთის შანსები ძალზე მცირეა...

ერთი სიტყვით, მდგომარეობა ნამდვილად არაა იმდენად კარგი, გული დავიმშვიდოთ და კმაყოფილებისგან ხელები ვიფშვნიტოთ. სამუშაო კვლავაც ბევრია, თუ წარმატება გვინდა. ოქრო კარგია, მაგრამ მისმა ბრწყინვალებამ ნაკლოვანებები არ უნდა გადაფაროს. არადა, წარმოვიდგინოთ - რა იქნებოდა ჩვენი გამოსვლა, ეს ოქროც რომ არ ყოფილიყო! ამაზე ფიქრისას ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს ოქროც იმან მოიპოვა, ვისგანაც ამას სხვაზე ნაკლებად ველოდით მისი ახალგაზრდული ასაკისა და გამოუცდელობის გამო...

## სარეიტინგო ვნებები

ერთი შეხედვით, უცნაურია, რომ უკეთესი დაფინანსების პირობებში შედეგი არაა წინაზე ყოველმხრივ უკეთესი. პირიქით, როგორც ზემოთ დავწერეთ, ხარისხობრივად უარესიცაა. არადა, გუნდურ ადგილებს სწორედ ოქროების მიხედვით ითვლიან და არა მედლების საერთო რაოდენობით- ასე რომ იყოს, კიდევ 7 ადგილით წავიწევდით წინ. შედარებისთვის - მე-20-ზე მყოფმა ჩრდილო კორეამ მხოლოდ 6 მედალი მოიპოვა, მაგრამ 4 ოქრო აქვს და იმიტომაა ცხრილში ასე მაღლა. რაოდენობით რომ ითვლიდნენ, კორეელთა გარდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ნორვეგიას, თურქეთს, ხორვატიას, შვეიცარიას და ლიტვას გავუსწრებდით. თავის მხრივ, ამ მაჩვენებლით ჩვენს მეზობლად მყოფი 18-მედლიანი კანადაც ბევრად წინ იქნებოდა ცხრილში.

## გორის ფენომენი

გორმა ამჯერადაც გაამართლა საჭიდაო ცენტრის რეპუტაცია და მის მიერ მოპოვებული ჯილდოები ცალკე რომ დავაჯამოთ, მსოფლიოს ბარე ბევრ ქვეყანას ჩამოიტოვებდა უკან. ძიუდოისტთა ნაკრებში ორი გორელი შედიოდა, რომელთაგანაც შავდათუაშვილი ჩემპიონი გახდა. ტრადიციულად, „თავისუფალთა“ გუნდის ლამის ნახევარი გორიდან - 7-დან 3 ფალავანი. იმათგან ხინჩეგაშვილმა ვერცხლი, გოგშელიძემ კი ბრინჯაო მოიპოვეს. ასევე ტრადიციულად ბერძნულ-რომაულში წარმომადგენელი არ ჰყოლიათ, თუმცა უამისოდაც მშვენიერი შედეგით დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს - სამივე სინჯის თითო მედლით. ლონდონის ოლიმპიადაზე ასეთი შედეგით გამოსვლა მხოლოდ ტუნისმა დაასრულა, რომელიც 45-ეა. ამ სამი მედლით პატარა გორი ისეთ დიდ ქვეყნებს გაუსწრებდა, როგორიც საბერძნეთი (2 ბრინჯაო), პორტუგალია, ჩერნოგორია (ორივე - თითო ვერცხლი), ბულგარეთი, ესტონეთი, ინდონეზია (სამივეს - თითო ვერცხლ-ბრინჯაო), ეგვიპტე (2 ვერცხლი) და კიდევ არაერთია. 3 მედალი მოიპოვეს, მაგალითად, სომხეთმა, ბელგიამ და ფინეთმა, თუმცა მათ ოქრო არ აქვთ. გორს მედლებით აჯობეს, მაგრამ ოქროს გარეშე დარჩნენ სლოვაკეთი, მონღოლეთი, ინდოეთი, რომლებსაც ასევე გაუსწრებდნენ ცხრილში. არაფერს ვამბობთ საერთოდ უმედლოდ დარჩენილ ისეთ განვითარებულ ქვეყნებზე, როგორიც ავსტრია, ისრაელი და სხვებია.

ერთი სიტყვით, გორმა უნდა იამაყოს თავისი ფალავნებით. მით უფრო, 40 წლის თავზე ისევ დაიბრუნა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული - შოთა ჩოჩიშვილის შემდეგ ეს უმაღლესი რანგის ტიტული ისევ ძიუდოისტმა შავდათუაშვილმა დაუბრუნა გორში.

## მწვრთნელთა შეფასებები

ლონდონში მედლები მხოლოდ საჭიდაო სახეობებში მოვიპოვეთ, თუმცა მათი უმეტესობა „თავისუფალსა“ და ბერძნულ-რომაულზე მოდის. საინტერესოა, რას ფიქრობენ მათი მწვრთნელები შეგირდთა გამოსვლაზე, როგორ აფასებენ ოლიმპიადას? ამ მიზნით **ზაზა თურმანიძეს** და **ბეგი დარჩიას** დავეკითხეთ. რაც შეეხება ძიუდოისტთა დამრიგებელ **პეტრე ზაიზენბახერს**, ის უკვე ჩავლილია, საქართველოდანაც წავიდა და მის კომენტარს ვერ შემოგთავაზებთ.

**ზაზა თურმანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა): *„ყველა სპორტსმენს მადლობა ეკუთვნის. შედეგი ძალიან კარგია, თუმცა ოქროს ბრწყინვალება აკლია, მაგრამ სპორტი ასეთია - აქ წარმატებისა თუ წარუმატებლობის ბევრი განმსაზღვრელი ფაქტორია. სტაბილური გუნდია, რასაც ისიც ადასტურებს, რომ გუნდურ ჩათვლაში რუსებთან ერთად გავიმარჯვეთ 40 ქულით. ბუნებრივია, უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ოლიმპიადა ლაშა შავდათუაშვილის მსგავსი უცნობი ხალხისაა. აქედან*



მანუჩარ ცხადაია

*გამომდინარე, ცუდია, ოქრო რომ არაა, მაგრამ მე მადლობას ვეტყვი იმავე გოგშელიძეს, მარსაგიშვილს და უოქროოდ დარჩენილ სხვა ლიდერებს, რომ ოლიმპიური მედალი მოგვიტანეს. მარსაგიშვილისგან მეტ ბრძოლისუნარიანობას, მეტ სითამამეს კი ველოდი, მაგრამ ალბათ, ფსიქოლოგიურმა მომენტმა, ახალგაზრდობამ იმოქმედა. ხინჩეგაშვილი ამ წონაში ლიდერი კი არის, მაგრამ მას რეკომენდაციას მივცემ წონის შესაცვლელად, აქ არ უნდა დარჩეს. მარსაგიშვილთან წონის შეცვლის საჭიროებას ვერ ვხედავ, ხინჩეგაშვილს კი უჭირს წონის დაკლება“.*

ბეგი დარჩია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა): *„გუნდურ ჩათვლაში სამეულში მოვხვდით რუსეთისა და ირანის შემდეგ, რაც ურიგო შედეგი არაა. მით უფრო, ოლიმპიადაზე ლიდერ გუნდად არ მივიჩნეოდით. ამის მიუხედავად, ორი მედალი მაინც მოვიპოვეთ, თუმცა მეტიც შეგვეძლო. ძალიან მწყდება გული ვლადიმერ გეგეშიძეზე, რომელიც თუმცა ის არა მხოლოდ ყაზახ დანიალ გაჯიევთან დაჩაგრეს, არამედ - ნახევარფინალშიც ალან ხუგაევთან. ყაზახთან იმ საკამათო გდებისას ნამდვილად დაუხურა გდება, რის გამოც ორ ქულას იმსახურებდა. ყაზახეთი ჩვენს სახეობაში უმედლოდ რჩებოდა და ეს ამიტომ მოხდა. სხვა შემთხვევებზე ვერ ვიტყვი, რომ დაგვჩაგრეს. არადა, ტურნირის მსვლელობიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი გეგეშიძეს ჰქონდა“.*

ირაკლი თავაძე

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

● შეკითხვა „ლელოს“



გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი

**შეკითხვა:** პაპაჩემი მოჭიდავე იყო. მისგან გამიგია, რომ იყო ცნობილი ფოტორეპორტიორი **მიხეილ ზარგარიანი,** რომელმაც შექმნა ქართული სპორტის უძვირფასესი ფოტომატიანე. ჩვენს ოჯახში მის მიერ გადაღებული არაერთი ფოტო ინახება. მაინტერესებს, რა ბედი ენია მ. ზარგარიანის ფოტოარქივს. გარდა იმისა, რაც ათეული წლების განმავლობაში „ლელოს“ ფერცლებზეა გამოქვეყნებული, ბუნებრივია, დარჩა მრავალჯერ მეტი გამოუქვეყნებელიც.

**მალხაზ სინჯიკაშვილი**
საბარეჯო

**პასუხი:** მართალი ბრძანდებით. მიხეილ ზარგარიანმა ათეული წლების განმავლობაში ფირზე აღბეჭდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სპორტის მაჯისცემა. ხელოვანის გარდაცვალების შემდეგ ამ უნიკალური ფოტოსურათების და ფირების შეძენა მოისურვა სომხეთის ერთ-ერთმა გამომცემლობამ, რომლის წარმომადგენელი საგანგებო დავალებით ჩამოვიდა თბილისში. მ. ზარგარიანის ოჯახმა „ლელოს“ რედაქციას აცნობა ამის შესახებ. ოჯახის სურვილი იყო არქივი დარჩენილიყო საქართველოში. საბჭოთა პერიოდში „ლელო“ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს პროფსაბჭოს ორგანო იყო. შეიტყო რა რედაქციის ხელმძღვანელობისგან საქმის ვითარება, სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ **რამაზ გოგლიძემ** ყველაფერი გააკეთა მ. ზარგარიანის ფოტოარქივის „ლელოსთვის“ შესანარჩუნებლად. მანვე გამოძებნა იმ დროისთვის სოლიდური თანხა არქივის შესაძენად და სისტემაში მოსაყვანად. ასე რომ, არქივი შემონახულია, მაგრამ დღეს უკვე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მისი ხელახლა დამუშავება და დაკონსერვება დგას დღის წესრიგში.

● კალათბურთი. U18. ევროპიონი

## მეჩვიდმეტეზე დავასრულეთ

**19 აგვისტო**

**საქართველო-ბელარუსი 72:62**

**16-13, 19-16, 16-17, 21-16**

**საქართველო:** დვალი, ძიძიგური (6ქ), რამიშვილი (15ქ, 6პ), ბურჯანაძე (23ქ, 8მ), კვანტალიანი (4ქ), გოგოძე (5ქ), ცირეკიძე (10ქ, 5მ), აბულაძე (6ქ), ტომარაძე (3ქ).

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მე-17 ადგილზე დაასრულა. **მიხეილ ბერუაშვილის** გაწვრთნილმა გუნდმა სეზონის ბოლო მატჩში ბელარუსებს აჯობა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს მოხსნებში დიდი უპირატესობა ჰქონდა (50:30), პერიმეტრზე უკეთესი თამაშის წყალობით ქართველებმა 10-ქულიანი სხვაობა დაიბევეს. ჩვენებმა 11 სამქულიანი გამოიყენეს, ბელარუსებმა - 6.

მატჩის ბომბარდირი **ბექა ბურჯანაძე** გახდა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# საფრანგეთის ქართული ლეგიონი მოქმედებაში

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი ტურის შეხვედრები სენსაციების გარეშე წარიმართა. მომგებმა მოიგო და სტარტზევე გააკეთა ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე განაცხადი. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ოთხმა წარმატებით იასპარეზა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არც პირველ ტურში დამარცხებული „ქართული გუნდები“ მიიჩნევიან აუტსაიდერებად.

N 23 დავით ზირაქაშვილი

ძალიან გაუჭირდა პირველივე ტურში გამარჯვების მიღწევა საფრანგეთის ჩემპიონს, **აქვსენტი გიორგაძის, ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზს“. ჩვენებურთა ეს გუნდი შინ ეთამაშებოდა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“ და უმძიმეს ბრძოლაში მინიმალური სხვაობით - 23:22 მოუგო.

ტულუზელებს ტრავმების გამო სამივე ქართველი, ასევე წამყვანი მოთამაშეები **იანიკ ჟოზიონი, იან დავიდი** და **მაქსიმ მედარი** აკლდა. არგენტინელებმა **ნიკოლას ვერგალომ** და **პატრისიო ალბასეტემ** კი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ერის გათამაშების პირველ ტურში იასპარეზეს.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა დასასრულისკენ მასპინძლებმა მაინც მოახერხეს მცირედი უპირატესობის მოპოვება და ტაიმი ექვსი ქულის სხვაობი 15:19 მოიგეს. შესვენების შემდეგ „კასტრი“ საგრძნობლად გააქტიურდა და 73-ე წუთამდე ოთხი ქულის სხვაობით 22:18 იგებდა. ტულუზელებმა სწორედ ამ დროს ლელოს გატანა შეძლეს, რაც საბოლოოდ გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

ტულუზელი ქართველების მსგავსად, ტრავმის გამო არ უთამაშია ანტონ ფეიქრიშვილსაც.

დიდ ინტერესს იწვევდა ფრანგული გრანდის, **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“ საშინაო დაპირისპირება **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიესთან“. მატჩის პირველი ნახევარი საკმაოდ მძიმედ წარიმართა და მაყურებლისთვის დიდი ვერაფერი სანახაობა გამოვიდა. გუნდებმა მხოლოდ სამ-სამი საჯარიმო მიითვალეს - 9:9. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ მოედანზე სრულიად სხვა „სტად ფრანსე“ ვიხილეთ. პარიზელებმა მეტოქე უკვე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს. მათ ორი ლელოს გატანა მოახერხეს, რაზეც „მონპელიემ“ ერთით უპასუხა. ამასთან ერთად შესანიშნავად გაისარჯა მასპინძელთა ფულბეკი **ჟერომ პორიკალი**, რომელმაც ექვსი საჯარიმო და ორი გარდასახვა მიითვალა (22 ქულა). შედეგად „სტად ფრანსემ“ მეტოქე 32:16 დაამარცხა.

ჟვანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტმა მოედანზე ოცი წუთით მეტი დაჰყო, ნარიაშვილი განაცხადში იყო, თუმცა არ უთამაშია. ტრავმის გამო „მონპელიეს“ ლიდერი მამუკა გორგოძე დააკლდა. არ უთამაშია ასევე გუნდის ექვსივე არგენტინელს, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში იყვნენ გამოძახებული.

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა“, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაა მიჩნეული, სტუმრად მოუგო ბასკურ „ბაიონს“ - 13:6. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ანგარიში მასპინძლებმა მატჩის 23-ე წუთზე გახსნეს **ჟაკ პოთხითერის** საჯარიმოთი, რაზეც კლერმონელთა ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** შვიდ წუთში ასევე საჯარიმოთი უპასუხა - 3:3. რაგბისთვის ასე უჩვეულო ანგარიშით დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში დიდად არაფერი შეცვლილა. „ვულკანებმა“ დასაწყისშივე, 42-ე წუთზე ლელო მიითვალეს, რასაც მატჩის მიწურულს კიდევ ერთი საჯარიმო მიუმატეს და საკმაოდ ძნელი გამარჯვება მოიპოვეს.

ზირაქაშვილი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო.

მძიმე ბრძოლა გადახდა თავს სტუმრად „პერპინიანთან“ **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავსა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“ - 21:15. ჩვენებურთა გუნდს გამარჯვება ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** მოუტანა, რომელმაც ექვსი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა (21 ქულა).

ქუბრიაშვილი თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

**I დივიზიონი**

**I ტური**

ტულუზი-კასტრი 23:22, ბიარიცი-მონ დე მარსანი 35:10, სტად ფრანსე-მონპელიე 32:16, ბორდო-გრენობლი 28:29, აჟენი-მეტრო რასინგი 20:24, ბაიონი-კლერმონი 6:13, პერპინიანი-ტულონი 15:21.

**საბურნირო მდგომარეობა**

1. ბიარიცი - 5 ქულა, 2. სტად ფრანსე - 4, 3. კლერმონი - 4, ტულონი - 4, 5. მეტრო რასინგი - 4, 6. ტულუზი - 4, 7. გრენობლი - 4, 8. კასტრი - 1, 9. ბორდო - 1, 10. აჟენი - 1, 11. პერპინიანი - 1, 12. ბაიონი - 1, 13. მონპელიე - 0, 14. მონ დე მარსანი - 0.

**II ტური**

ბორდო-პერპინიანი, მეტრო რასინგი-ტულონი, აჟენი-ბიარიცი, მონპელიე-კლერმონი, ტულუზი-მონ დე მარსანი, კასტრი-გრენობლი, ბაიონი-სტად ფრნასე.

■ ■ ■

ამასობაში სეზონის დაწყების წინ ბოლო საწვრთნელი მატჩები გამართეს ელიტური, მეორე დივიზიონის ქართველ მორაგბეთა გუნდებმა. **ალექსანდრე თოდუას, გიორგი კობერიძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „ალბი“ სტუმრად დამარცხდა „ოშთან“ - 17:23. თოდუამ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, მე-7 წუთზე ლელო გაიტანა. მაისურაძე და კობერიძე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთნენ.

**შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი“ სტუმრად წააგო ფედერალ 1 დივიზიონის ბინადარ „ნევერთან“ - 19:21.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ შინ დაამარცხა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“ - 30:14. დათუნაშვილი და შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და მეორე ტაიმში შეცვალეს, ნაცარაშვილი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, ასეიშვილი, ხინჩაგიშვილი და ნატრიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

საწვრთნელი შეხვედრა გამართა ბრიტანეთში მოასპარეზე ერთადერთი ქართველის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“. ჩვენებურის გუნდი სტუმრად დაუპირისპირდა ინგლისურ „ნიუკასლს“ და 3:21 წააგო.

ბასილია, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, არბიტრმა მატჩის მე-14 წუთზე სინბინში გაუშვა. აღსანიშნავია, რომ ქართველმა მორაგბემ, რომელიც ამპლუით შერკინების შემკვრელია (№8), მისთვის უჩვეულო, ფლანკერის (№6) პოზიციაზე ითამაშა.

მარცხნივ დიმიტრი ბასილაია

ოთხი ერი



იზრაელ დაგის ლელო

# ბოკე და ოლ ბლექსი წინ გაიჭრნენ

**გასულ უქმეებზე ახალი სარაგბო ტურნირის ისტორია დაიწყო. ოთხი ერის გათამაშებაში, რომელშიც სამხრეთელი ბობოლები ასპარეზობენ, პირველი ტურის მატჩები გაიმართა, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო ბრძოლაში წარიმართა.**

ცხადია, ყველაზე დიდ ინტერესს დებიუტანტის, არგენტინის ნაკრების თამაში იწვევდა. „პუმებს“ საკმაოდ სერიოზული გამომცდელი ჰყავდა - სამხრეთ აფრიკის განახლებული ნაკრები, რომელსაც ახალ მწვრთნელ **ჰეინკე მეიერთან** ერთად, დიდი და თანაც საფუძვლიანი ამბიციები აქვს.

არგენტინელები მეტოქეს მედგარ წინააღმდეგობას სანყის 16 წუთში უწევდნენ. ამ დროისთვის გუნდებმა მხოლოდ თითო-თითო საჯარიმოს გატანა შეძლეს. თუმცა მერე „ბოკემ“ ორი ლელო გაიტანა და ტაიმი საკმაოდ სოლიდური სხვაობით 20:6 მოიგო. „პუმებს“ ექვსი ქულა ორი საჯარიმოთი მგეზავმა **ხუან მარტინ ერნანდესმა** შესძინა.

მეორე ტაიმში არგენტინელთა გუნდს მხოლოდ ერთხელ მიეცა ლელოს გატანის შანსი, თუმცა შერკინებით მიძალებისას, რაკში თამაშში ბურთი შეაყოვნეს და დაჯარიმდნენ. მასპინძლებმა კი კიდევ ერთი ლელო გაიტანეს და 27:6 მოიგეს.

**სანტიაგო ფელანი**, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„მარცხის მიუხედავად, ჩვენი გუნდის თამაშში ბევრი საინტერესო დეტალი შევნიშნე, რაც სამომავლოდ უნდა დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ.*

*ძალიან მიხარია, რომ ბიჭებმა თამაშში ყველაფერი გაიღეს, ბოლომდე იბრძოლეს. რომ არა ხარვეზები სათამაშო დისციპლინაში, ვფიქრობთ, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს გაცილებით მეტ პრობლემებს შევუქმნიდით.*

*ცხადია, „ბოკეს“ თამაშში ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, როგორც ყოველთვის, ეს გუნდი ღონიერი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და ფეხით თამაშით გამოირჩევიან. ვფიქრობ, ერთი კვირის თავზე არგენტინაში სრულიად განსხვავებულ მატჩს ვიხილავთ“.*

მეორე შეხვედრაში ავსტრალიის ნაკრებმა სიდნეიში ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან წააგო 19:27. „ოლ ბლექსმა“, როგორც მსოფლიოს თასის მფლობელს შეშვენის, თამაში აქტიურად და აგრესიულად დაიწყო. მეტიც, ავსტრალიელების ჩათვლის მოედანში ორი ერთმანეთზე მარტივი კომბინაციით შეაღწიეს. ახალზელანდიელებმა ორივეჯერ „ვოლაბების“ 22-მეტრიან ზონასთან ახლოს დანიშნული შერკინებიდან შეტევა ფრთაზე განაგრძეს, სადაც ხელდახელ ბურთაობით მეტოქის დაცვა უსაქმოდ დატოვეს და 32-ე წუთისთვის თხუთმეტი ქულის სხვაობით 18:3 იგებდნენ.

ტაიმის მინურულს ავსტრალიელებმა შეძლეს მრავალფაზიანი შეტევის აკინძვა და „ოლ ბლექსის“ ლელოში ვეტერანმა მეორეხაზელმა **ნათან შარპმა** შეაღწია, მგეზავმა **ბერიკ ბარნსმა** გარდასახა - 10:18.

მეორე ტაიმში გუნდებმა სამ-სამი საჯარიმო გაიტანეს და ანგარიშში რვაქულიანი სხვაობა შენარჩუნდა, რის გამოც წაგებულმა ავსტრალიამ ერთი პრემიალური ქულის აღება ვერ შეძლო.

**ავსტრალია-ახალი ზელანდია 19:27**

ავსტრალია (15-9) ბეილი, ეშლი-კუპერი, ჰორნი, ფაინგაა, იოანი, ბარნსი, გენია. (1-8) რობინსონი (სლიპერი 68), ჰოლოტა ნაუ (მური 60), კეპუ, ტიმანი (საიმონსი 66), შარფი, დინსი (სამო 65), პოკოქი, ჰიგინნბოთამი.

ლ: შარფი. 4ს,გ: ბარნსი.

ახალი ზელანდია (15-9) დაგი, ჯეინი, ნონუ, ს.ბ. ვილიამსი. გეარი. არტერი, ა. სმითი (ვიუპუ 79). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ (ჰორი 77), ო. ფრენქსი, რომანო (რეტალეკი 52), ვაითლოქი (ბ.ფრენქსი 65), მესამი. მაქოა, რიდი.

2ლ: დაგი, ჯეინი. 5ს,გ: კარტერი.

მსაჯი: ალან როლანი (ირლანდია).

**სამხრეთ აფრიკა-არგენტინა 27:6**

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირხნერი, ჰაბანა (ენგელბერჰტი 68), დე ფილიერსი, ფ. სტეინი, მვოვო (პინარი 60), მ. სტეინი, ჰუგარი. (1-8) მთავარირა, ბ. დუ პლესი, ი. დუ პლესი. ესტბესი, ბეკერი (ფან დერ მერვე 48), კუცია, ალბერტსი, დენიელი.

3ლ: კირხნერი, კუცია, ჰაბანა. 3გ,2ს: მ. სტეინი.

არგენტინა (15-9) ამოროსინო, კამაჩო, ბოსხი, ფერნანდესი (როდრიგესი 69), აგულა, ერნანდესი, ვერგალო (ლანდახო 65). (1-8) რონსერო (აიერსა 60), გუნასუ, ფიგალო (ორლანდინი 60), კარისა, ალბასეტე, კაბელო (სენატორე 66), გალინდო (ლეონარდი 41), ფერნანდეს ლობე.

2ს: ჰერნანდესი.

მსაჯი: სტივ ველში (ავსტრალია)

**II ტური**

არგენტინა-სამხრეთ აფრიკა. ახალი ზელანდია-ავსტრალია

**საბურნირო მდგომარეობა**

1. სამხრეთ აფრიკა - 4 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 4, 3. ავსტრალია - 0, 4. არგენტინა - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# როჯერი პირველი იქნება

ჯოკოვიჩმა რევანში აიღო

შაბათს ცინცინატში ATP-სა და WTA-ის უმაღლესი კატეგორიის ტურნირების ნახევარფინალები გაიმართა. მამაკაცებს შორის კორტზე ოლიმპიური პრიზიორები უნდა გასულიყვნენ: ჯერ ბრინჯაოს პრიზიორები - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ხუან-მარტინ დელ პოტრო**, შემდეგ პეკინში წყვილთა თანრიგის ჩემპიონები - **როჯერ ფედერერი** და **სტანისლას ვავრინკა**.

სულ რაღაც ორი კვირის წინ, ლონდონის ოლიმპიადაზე დელ პოტრომ მესამე ადგილისთვის მატჩში დაამარცხა ჯოკოვიჩი, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ყველაზე ბედნიერი ადამიანია მსოფლიოში. შესაძლოა, მაშინ არგენტინელს მეტი მოტივაცია ჰქონდა - რაც არ უნდა იყოს, ნოვაკს მოგებული ჰქონდა ბრინჯაო პეკინში. ცინცინატში კი სერბი აშკარად რევანშისთვის იყო განწყობილი. მით უმეტეს, რომ მოტივაციაც მაღალი გახლდათ: ნოვაკს გამარჯვების შემთხვევაში რეიტინგში პირველი ადგილის დაბრუნება შეეძლო, ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ფედერერი დამარცხდებოდა თავის ნახევარფინალში.

მატჩში პირველი შანსი დელ პოტროს მიეცა, მაგრამ მან ოთხი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, ნოვაკმა არ გაუშვა ხელიდან ასეთი შესაძლებლობა და პირველი სეტი აიღო. დელ პოტრომ პარტიის მსვლელობისას ექიმი გამოიძახა, რადგან მაჯის ტკივილს უჩიოდა - მართლაც, მარჯვნიდან მისი საფირმო დარტყმები არ გადიოდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ნოვაკი დაცვაში ძალიან ყურადღებით და კარგად თამაშობდა.

მეორე სეტში ჯოკოვიჩის უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა - ის თითქმის ყველა კომპონენტში სჯობდა მეტოქეს და შეცდომებსაც გაცილებით ნაკლებს უშვებდა. ხუან-მარტინს კი შეუძლია საკუთარ თავსაც გაუწყრეს, რადგან არც ისე დამაჯერებელი თამაშით ექვსი ბრეიკ-პოინტი მაინც მოიპოვა, მაგრამ ვერც ერთის რეალიზება ვერ შეძლო - 3:6, 2:6.

ამის შემდეგ კორტზე გავიდნენ როჯერ ფედერერი და სტანისლას ვავრინკა. მატჩის წინ როჯერმა აღიარა, რომ ის უხერხული მეტოქეა ვავრინკასთვის. ამას სტატისტიკაც ადასტურებს - 10:1 პირად შეხვედრებში პირველი ჩოგანის სასარგებლოდ. ამასთან, ვავრინკა ყოველთვის იბრძვის და ცდილობს ტოლი არაფერში დაუდოს სახელოვან თანამემამულეს, მაგრამ მუდმივად რაღაც არ ჰყოფნის წარმატების მისაღწევად. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა აღმოჩნდა. თუმცა თავიდან ფედერერს ოდნავ არ უმართლებდა - თავის მოწოდებას ის დამაჯერებლად იღებდა, მეტოქისაზე კი შვიდი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მათ შორის ოთხი - სეტბოლი იყო, მაგრამ ამაოდ.

ვავრინკამ გაუძლო ამ გამოცდას და ყველა მნიშვნელოვანი ბურთი მოიგო, რითაც ტაი-ბრეიკის უფლება მიიღო, თუმცა იქ როჯერის უპირატესობა აშკარა იყო. მეორე სეტში ფედერერმა ბოლოსკენ მოუმატა თამაშს და ზედიზედ ორჯერ აიღო ვავრინკას მოწოდება - 7:6, 6:3.

ამით როჯერმა შეინარჩუნა კლასიფიკაციაში პირველი ადგილი - ის კვლავ რეიტინგის ლიდერი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ ჯოკოვიჩთან ფინალს წააგებს.

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 825 280 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:1, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 12) 6:3, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-მილოშ რაონიჩი (კან) 2:6, 7:6(5), 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-მერდი ფიში (აშშ, 10) 6:3, 7:6 (7:4).

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6) 6:3, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 7:6(4), 6:3.

# მესამე უშედეგო ცდა

ნა ლი კარგ ფორმაშია

სალამოს გაიმართა ქალების ნახევარფინალები, თუმცა მანამდე, ორი სიტყვით მეოთხედფინალების შესახებ. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ **აგნიეშკა რადვანსკას** კრახი ჩინელ **ნა ლისთან** შეხვედრაში. ამით პოლონელმა მესამედ დაკარგა შანსი, სათავეში ჩადგომოდა WTA-ის კლასიფიკაციას. ასევე უნდა გამოვყოთ **სერენა უილიამსის** მარცხი. ბრწყინვალე სტილში მოგებული უიმბლდონისა და ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ამერიკელი, როგორც ჩანს, გადაიღალა და ცინცინატში არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. პირველ ორ მატჩში მძიმე გამარჯვების შემდეგ, სერენა ბრძოლას გამოთიშა გერმანელმა **ანჟელიკ კერბერმა**.

ამ უკანასკნელს საკმაოდ რთული ნახევარფინალური მატჩი ჰქონდა ჩეხ **პეტრა კვიტოვასთან**. პირველ სეტში მთავარი მოვლენები მესამე გეიმში განვითარდა. იმ დროისთვის კერბერი 2:0-ს იგებდა, მესამე გეიმში კი ჩოგბურთელებმა 22 ქულა გაითამაშეს. გერმანელმა შეინარჩუნა თავისი მოწოდება და შემდეგ სეტი დამაჯერებლად მოიგო - 6:1. ეს პირველ რიგში, კვიტოვას ძალიან ბევრი შეცდომის ბრალი იყო.

მეორე სეტი კერბერის ბრეიკით დაიწყო, მაგრამ კვიტოვამ მკვეთრად შეამცირა შეცდომების რაოდენობა და ზედიზედ არღვევდა მეტოქის დაცვას. ამან მას ზედიზედ ხუთი გეიმის აღებისა და მატჩის მესამე სეტში გადაყვანის საშუალება მისცა. გადამწყვეტ პარტიაში თანაბარი დასაწყისის შემდეგ, ჩეხმა ისევ დაიწყო შეცდომების დაშვება და წინ გაუშვა მეტოქე. პეტრა არ ნებდებოდა და ერთხელ მატჩზე ჩაწოდების საშუალება არ მისცა კერბერს, მაგრამ 56 უნებლიე შეცდომით (მეტოქეს 19 შეცდომა ჰქონდა) ფინალში გასვლა ძალიან რთული საქმეა - 1:6, 6:2, 4:6.

მეორე ნახევარფინალში ნა ლი **ვენუს უილიამსს** ხვდებოდა, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ჰქონდა - 2:0. ჩინელმა უკეთ დაიწყო შეხვედრა. ამერიკელმა ვერაფრით დაალაგა თამაში საკუთარ მოწოდებაზე და ლიმ კომფორტული უპირატესობა მიიღო. მიუხედავად ამისა, როცა აზიელი სეტზე აწვდიდა, ვენუსმა გააქტიურა თამაში და რამდენიმე ბრწყინვალე დარტყმა შეასრულა. ამით მან ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ 5:5-ზე ისევ წააგო საკუთარი მოწოდება და ტაი-ბრეიკამდე ვერ მიაღწია.

მეორე პარტია ჩინელმა ბრეიკით დაიწყო, შემდეგ კი მისმა მეტოქემ სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო - ვენუსი ზურგს უჩიოდა. პაუზამ ამერიკელს აშკარად უშველა - უილიამსმა ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. საათნახევრიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ, სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა.

თითქოს, მესამე სეტში დიდი ბრძოლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ვენუსს ძალები აღარ შერჩა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ნა ლიმ კი შესანიშნავად გადაანაწილა ძალები სამ სეტზე და შანსი არ დაუტოვა მეტოქეს - 7:5, 3:6, 6:1.

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 168 400 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 6) 6:4, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 9)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:2.

**1/4 ფინალი**

**ვენუს უილიამსი (აშშ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 3) 6:2, 6:7(2), 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-სერენა უილიამსი (აშშ, 2) 6:4, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 9)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1) 6:1, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17) 6:3, 7:6(4).

**1/2 ფინალი**

**ნა ლი (ჩინ, 9)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 7:5, 3:6, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4) 6:1, 2:6, 6:4.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უაიჩიპატო-უნ. ესპანიოლა | 2:0 |
| პალესტინო-რეინჯერსი | 4:1 |
| უნ. ჩილე-აუდაძსი | 2:1 |
| ლა კალერა-სან ფელიპე | 1:3 |
| უონდერერსი-ანტოფაგასტა | 0:1 |
| კობრელოა-უნ. კონსეპსიონი | 3:1 |
| დეპ. იკიკე-კობრესალი | 3:2 |
| ლა სერენა-კოლო კოლო | 1:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| დეპ. მაკარა-ემელეკი | 0:1 |
| ოლმედო-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| ლდუ კიტო-დეპ. კუენკა | 0:2 |
| დეპ. კიტო-ლდუ ლოხა | 0:0 |
| მანტა-ელ ნასიონალი | 1:1 |
| ბარსელონა-ტეძ. უნივერსიტარ. | 0:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| დეპ. კარაპეგუა-სერო პორტენიო | 1:1 |
| რუბიო ნუ-პფ სერო პორტენიო | 0:0 |
| სოლ დე ამერიკა-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| გუარანი-სპორტივო | 1:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| სიეტლი-ვანკუვერი | 2:0 |
| ტორონტო-კანზას სიტი | 0:1 |
| მონრეალი-სან ხოსე | 3:1 |
| ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 2:1 |
| კოლორადო-ჩივასი | 1:1 |
| სოლტ ლეიკ-დალასი | 1:2 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| საპორო-კობე | 2:4 |
| ტოკიო-ომიია | 0:1 |
| ნიიგატა-ჰიროშიმა | 0:2 |
| ივატა-სერეზო | 4:3 |
| ნაგოია-გამბა | 0:5 |
| ტოსუ-შიმიცუ | 0:1 |
| ურავა-კაშიმა | 2:1 |
| ვეგალტა-კაშივა | 0:0 |
| იოკოჰამა-კავასაკი | 2:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ჯოკოვიჩი | 6:0, 7:6 |

**ATP. უინსტონ სალემი**

| | |
|---|---|
| მალისე-დარცისი | 3:6, 0:6 |
| ბოგომოლოვი-ყაზირი | 6:2, 6:2 |
| გოფენი-მაუ | 7:6, 6:1 |

**WTA. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-კერბერი | 1:6, 6:3, 6:1 |

**WTA. ნიუ ჰეივენი**

| | |
|---|---|
| საფაროვა-ლეპჩენკო | 6:3, 6:1 |
| სტივენსი-პაჩეკი | 6:3, 6:1 |
| სუარეს ნავარო-შავაი | 7:6, 6:4 |
| ბარტოლი-რობსონი | 6:3, 6:3 |

## TV პროგრამა

**20 აგვისტო. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფლამენგო-ვასკო.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ბოკა ხუნიორსი-ოლ ბოისი.
**14:00** პოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ფეიენოორდი-ჰერენვეენი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. უიგანი-ჩელსი.
**18:00** პოლანდიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ნიუკასლი-ტოტენჰემი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ტიგრე-რივერ პლეიტი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ფლამენგო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ორლანდო.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ინტერნასიონალი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. სკარლეტსი-ნორტჰემპტონი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეფურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. შალკე.
**21:45** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ფინალი. როჯერ ფედერერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. ცინცინატი. აშშ.
**23:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ორლანდო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. მიმოხილვა. ცინცინატი. აშშ.
**14:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. საფრიკა-არგენტინა.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
**19:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. კლიპერსი-მემფისი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**23:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 19 | 22 | (წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 24 | (წვიმა) |
| ფოთი | 19 | 25 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 22 | (წვიმა) |
| გორი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 21 | 28 | (მცირე წვიმა) |
| სილნაღი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ძოგულეთი | 18 | 24 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 10 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ფსტა | 12 | 20 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0331 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6446 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5817 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1641 |

მძლეოსნობა

# ელენა რიოამდე რჩება

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა რუსმა **ელენა ისინბაევამ** განაცხადა, რომ ის გააგრძელებს კარიერას და 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ლონდონის თამაშებზე ლეგენდარულმა მძლეოსანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა - მან წინ გაუშვა ამერიკელი **ჯენიფერ შური** და კუბელი **იარისლეი სილვა**. ტურნირის შემდეგ, ისინბაევა აცხადებდა, რომ გადაწყვეტილი არ ჰქონდა მომავალი კარიერის საკითხი.

ახლა, ისინბაევა ამბობს, რომ მესამე ოლიმპიური ოქროთი სურდა კარიერის დასრულება, მაგრამ ეს ლონდონში არ გამოუვიდა, ამიტომაც დიდ სპორტში კიდევ ოთხი წელი დარჩება. რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადა მეხუთე იქნება რუსი სპორტსმენის კარიერაში.

გარდა ამისა, 28 წლის ელენამ განაცხადა, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც 2013 წელს მოსკოვში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ელენა ისინბაევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოტოგრანპრი

სტოუნერი საკაცით გაჰყავთ

# ავარიული კვალიფიკაცია

გასულ უქმეებზე ინდიანაპოლისში გაიმართა მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - აშშ-ის გრანპრი. კვალიფიკაცია ერთბაშად სამი სერიოზული ავარიით აღინიშნა.

ტრასის მესამე მოსახვევში სხვადასხვა დროს ავარიაში მოხვდა სამი პილოტი: „ჰონდას“ ლიდერი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **კეისი სტოუნერი**, „იამაჰას“ წევრი **ბენ სპისი** და „დუკატის“ პილოტი **ნიკი ჰეიდენი**.

ყველაზე ნაკლებად ბენ სპისი დაზარალდა - ის ერთადერთი იყო ამ სამეულიდან, რომელმაც თავისი ფეხით დატოვა ავარიის ადგილი.

უფრო სერიოზული იყო სტოუნერის ინციდენტის შედეგები. მსოფლიოს ჩემპიონი ფეხებით დაეცა ტრასაზე და ის საკაცით გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილას. პირველი შემოწმებით, ექიმებს მარჯვენა ფეხის მოტეხილობაზე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ საავადმყოფოში გარკვა, რომ ავსტრალიელს კოჭის მყესები აქვს გაწყვეტილი. აღსანიშნავია, რომ ავარიის მომენტში სტოუნერს საუკეთესო დრო ჰქონდა დაფიქსირებული, საერთო ჩათვლაში კი „ჰონდას“ ლიდერი მესამე ადგილს იკავებს.

ნაკლებად გაუმართლა „დუკატის“ წევრს ნიკი ჰეიდენს. დაცემის შემდეგ ამერიკელმა გონება დაკარგა, საბედნიეროდ, მას სერიოზული ტრავმები არ აღმოაჩნდა. თუმცა ექიმებმა მარჯვენა ხელის დაზიანება დაადგინეს, რითაც ჰეიდენის გამოსვლა აშშ-ის გრანპრიზე გამოირიცხა.

● ველოსპორტი. ვუელტა

# ესპანური ჭრიუმფით დაიწყო

როგორც წინა ნომერში ვუელტას წინათქმაში აღვნიშნეთ, ესპანური ველომარათონი პამპლონაში, ლეგენდარული **მიგელ ინდურაინის** მშობლიურ მხარეში უნდა დაწყებულიყო. წელს ამ გრანდტურმა დროზე განცალკევებითი გუნდური რბოლით აიღო სტარტი. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ყურადღება **ალბერტო კონტადორისკენ** იყო მიპყრობილი, გადამწყვეტი როლი პირველ ეტაპზე მას არ უთამაშია.

ველომრბოლებს 16-კილომეტრიანი დისტანცია ჰქონდათ გასავლელი. მათ ბოლო კილომეტრზე პატარა მთა უნდა დაეძლიათ, ფინიში კი კორიდისთვის განკუთვნილ სტადიონზე იყო დაგეგმილი. მსგავსი მარშრუტის გამო, ბევრ გუნდს შეექმნა პრობლემა, რამაც დიდი დროის დაკარგვა გამოიწვია.

Movistar-ის ფინიში

დისტანციის მთელი სირთულის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში ლიდერებს საკმაოდ მჭიდრო შედეგები ჰქონდათ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მეორე-მეოთხე ადგილებზე გასულ Rabobank-ს, Omega Pharma-Quick Step-სა და BMC Racing Team-ს შორის სხვაობა მხოლოდ ორი წამი იყო, ხოლო Team Sky და Lotto-Belisol ჩამოთვლილ გუნდებს მხოლოდ ორი წამით ჩამორჩნენ.

მთავარი ფავორიტის - Team Sky-ის ორი წამით ძლევის შემდეგ, ჰოლანდიური Rabobank უკვე ზეიმს იწყებდა, მაგრამ მასპინძელმა Movistar-მა შეძლო ლიდერის დროის ათი წამით გაუმჯობესება.

საინტერესოა, რომ ბოლო აღმართს ვერ გაუძლო ვუელტას მოქმედმა ჩემპიონმა **ხუან ხოსე კობომ**, რომელიც ჩამორჩა თავის თანაგუნდელებს, მაგრამ ესპანელმა მხოლოდ რამდენიმე წამი წააგო და ამის გამო მისმა თაყვანისმცემლებმა არ უნდა ინერვიულონ. ამასობაში, ლიდერის წითელი მაისურა მოულოდნელად **ხონათან კასტროვიეხოს** საკუთარება გახდა - სწორედ მან გადაკვეთა პირველმა ფინიშის ხაზი.

**I ეტაპი**

1. **Movistar** - 18:51; 2. **Rabobank** - +0:10; 3. **Omega Pharma-Quick Step** - +0:10; 4. **BMC Racing Team** - +0:10; 5. **Team Sky** - +0:12; 6. **Lotto-Belisol** - +0:12; 7. **SaxoBank-Tinkoff Bank** - +0:14; 8. **კატიუშა** - +0:15; 9. **Euskaltel Euskadi** - +0:28; 10. **Orica-GreenEdge** - +0:33...

● კალათბურთი. ახალი ამბები

# გასოლი III

ახალ სეზონში ლოს ანჯელესში ორი გუნდი იქნება, რომელთა რიგებში ითამაშებს კალათბურთელი, გვარად **გასოლი**. კალიფორნიის უნივერსიტეტის რიგებში ჩაირიცხა 18 წლის **ადრია გასოლი**. ეს გახლავთ NBA-ში მოთამაშე **პაუ** და **მარკ გასოლების** უმცროსი ძმა. ჯერჯერობით ნაადრევია იმის თქმა, გაგრძელებს თუ არა ის ოჯახურ ტრადიციას და ითამაშებს თუ არა კალათბურთს პროფესიულ დონეზე. რაც არ უნდა იყოს, ადრია სკოლაში არ ფიქრობდა იმაზე, რომ თავისი უფროსი ძმების კვალს გაჰყოლოდა, თანაც ამ ბიჭზე ჯერ არავის უთქვამს - პერსპექტიული კალათბურთელიაო.

გასულ წელს ის ესპანეთის 18-წლამდელთა ნაკრებში ვარჯიშობდა, მაგრამ შემადგენლობაში ვერ მოიპოვა ადგილი. *„ის ტიპური ბავშვია, რომელმაც გვიან დაიწყო განვითარება - სწრაფი, მაღალი და გამხდარი, მაგრამ მოედანზე დაკარგული,* - თქვა მასზე **რაფალ ჯუსმა**, ევროპელმა სკაუტმა. - *ადრია რამდენიმე ესპანელი აგენტის სამიზნე იყო, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ მასში ისეთ პერსპექტივას, როგორც ეს უფროსი ძმების შემთხვევაში იყო. მისი საკალათბურთო IQ მაღალი არ არის, მას ბევრი სათამაშო კომპონენტი აქვს შესასწავლი, რომ არაფერი ვთქვათ საკმაოდ ხშირ ტრავმიანობაზე. მიუხედავად ამისა, კალიფორნიის უნივერსიტეტში ის მაინც აიყვანეს. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. სანამ ბიჭი სწავლის ფულს იხდის, მისი საკალათბურთო გუნდში შეყვანით არაფერი დაშავდება. მით უმეტეს, რომ მისი გვარია - გასოლი“.*

• • •

ესპანეთის ნაკრების ცენტრმა **სერჟ იბაკამ** მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ამჟამინდელ კლუბ „ოკლაჰომასთან“. 22 წლის კალათბურთელი ოთხწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ 48 მილიონ დოლარს მიიღებს.

*„მოხარულები ვართ, რომ სერჟი კიდევ დიდი ხანი ითამაშებს ჩვენს გუნდში“,* - განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **სემ პრესტიმ**.

იბაკა 2011-12 წლების სეზონის პლეი ოფში საშუალოდ 9.8 ქულასა და 5.8 მოხსნას აგროვებდა.

• • •

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 37 წლის ცენტრი **ბენ უოლასი**, რომელიც გასულ სეზონში „დეტროიტის“ შემადგენლობაში თამაშობდა, შესაძლოა, საბერძნეთის „პანათინაიკოსში“ რიგებში აღმოჩნდეს.

ბერძნული გრანდის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ კალათბურთელისადმი ინტერესი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც უოლასმა გასული სეზონის შემდეგ კარიერის დასრულება გადაიფიქრა და კიდევ ორი წელი თამაშის მზადყოფნა გამოთქვა. შარშან, რეგულარულ ჩემპიონატში უოლასმა 61 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.4 ქულა და 4.3 მოხსნა დააგროვა.

პაუ, ადრია და მარკ გასოლები

● ევრობასკეტი 2013

# საკუთარი ნახევრიდან მოგებული თამაში

ე: კანგური (21+7 მოხსნა), ვენე (17+10 მოხსნა), ს. სოკი (16+6 პასი).

**სერბეთი-ჩერნოგორია 71:73**

**23:15, 12:20, 20:17, 16:21**

ს: ტეოდოშიჩი (21+5 პასი), მაჩვანი (17+5 მოხსნა).

ჩ: შეპოვიჩი (17+10 მოხსნა), პოპოვიჩი (11), დუბლიევიჩი (11), ივანოვიჩი (10).

**სლოვაკეთი-ისლანდია 75:81**

**17:21, 19:23, 23:10, 16:27**

ს: ჰაველი (31), მარკო (14+5 პასი), ვიდო (9+10 მოხსნა).

ი: სტეფანსონი (28), პალსონი (16+7 მოხსნა), სიგურდსონი (15), ბერინგსონი (13+11 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტონეთი | 2 | 2 | 0 | 183-160 | 4 |
| 2. ჩერნოგორია | 2 | 2 | 0 | 148-140 | 4 |
| 3. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 162-151 | 3 |
| 4. ისლანდია | 2 | 1 | 1 | 159-166 | 3 |
| 5. ისრაელი | 2 | 0 | 2 | 155-163 | 2 |
| 6. სლოვაკეთი | 2 | 0 | 2 | 149-176 | 2 |

**B ჯგუფი**

**გერმანია-ლუქსემბურგი 101:53**

**25:10, 20:17, 25:22, 31:4**

გ: ბენციენგი (17), ცირბესი (12+8 მოხსნა), ოლბრეხტი (12+7 მოხსნა), შტაიგერი (12), პლიაისი (10+8 მოხსნა), გიუნტერი (10).

ლ: ჯონსი (19), შუმახერი (12+6 მოხსნა).

**აზერბაიჯანი-ბულგარეთი 88:71**

**26:14, 27:17, 23:21, 12:19**

ა: დვივისი (30+7 მოხსნა), ჰაჩიევა (16+15 მოხსნა), ნიფტალიევი (15+5 პასი), ბაშაკი (13+5 მოხსნა), ჰაშაევი (12+6 პასი).

ბ: ავრამოვი (14), გეორგიევი (14), ვარბანოვი (10).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აზერბაიჯანი | 2 | 2 | 0 | 189-151 | 4 |
| 2. ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 151-161 | 3 |
| 3. გერმანია | 1 | 1 | 0 | 101-53 | 2 |
| 4. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 2 | 131-202 | 2 |
| 5. შვედეთი | 1 | 0 | 1 | 73-78 | 1 |

**C ჯგუფი**

**ავსტრია-უკრაინა 57:61**

**19:16, 10:16, 22:16, 6:13**

ა: ლამეშიჩი (18+7 მოხსნა), მაჰალბაშიჩი (17), დეტრიკი (12+4 პასი).

უ: პეჩეროვი (11).

**ხორვატია-კვიპროსი 93:38**

**17:10, 23:13, 25:12, 28:3**

ხ: ბოგდანოვიჩი (17), რუდეზი (14), სიმონი (10).

კ: კინგი (9).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 2 | 2 | 0 | 138-128 | 4 |
| 2. ავსტრია | 2 | 1 | 1 | 146-147 | 3 |
| 3. ხორვატია | 1 | 1 | 0 | 93-38 | 2 |
| 4. კვიპროსი | 2 | 0 | 2 | 124-182 | 2 |
| 5. უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 71-77 | 1 |

**E ჯგუფი**

**ფინეთი-ალბანეთი 112:77**

**37:18, 24:12, 29:30, 22:17**

ფ: კოპონენი (29+4 პასი), ჰუფი (19), კოივისტო (11), კაუნისტო (9+7 მოხსნა).

ა: შიმა (23+10 მოხსნა), ნდოია (18+6 მოხსნა).

**შვეიცარია-პოლონეთი 66:80**

**19:23, 13:17, 12:21, 22:19**

შ: მლადიანი (14+5 პასი), რამზაიერი (12+9 მოხსნა), ფოიტი (11).

პ: გორტატი (17+11 მოხსნა), კოშარეკი (13+5 პასი), იგნერსკი (12), ბერიშა (10).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 142-131 | 3 |
| 2. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 137-130 | 3 |
| 3. ფინეთი | 1 | 1 | 0 | 112-77 | 2 |
| 4. ბელგია | 1 | 1 | 0 | 64-57 | 2 |
| 5. ალბანეთი | 2 | 0 | 2 | 128-188 | 2 |

**F ჯგუფი**

**ჩეხეთი-იტალია 53:63**

**19:17, 10:18, 8:9, 16:19**

ჩ: ჰოუშკა (14+8 მოხსნა), ბენდა (10+7 მოხსნა).

ი: გალინარი (13+7 მოხსნა), ჩიოტი (10+6 მოხსნა).

**თურქეთი-ბელარუსი 77:74**

**19:18, 17:18, 24:12, 17:26**

თ: ერდენი (20+6 მოხსნა), პრელჯიჩი (14+5 პასი), გიულერი (11+5 მოხსნა).

ბ: კუდრიავცევი (21+5 პასი), პარახოვსკი (17), უილიანკო (16+5 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 160-98 | 4 |
| 2. ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 126-128 | 3 |
| 3. თურქეთი | 1 | 1 | 0 | 77-74 | 2 |
| 4. ბელარუსი | 2 | 0 | 2 | 139-150 | 2 |
| 5. პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 45-97 | 1 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

„ლელო“

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ვაჟა სიმონიშვილი***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

**რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჟდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია**

**საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**